განმარტების მუშაკი

გამოცემა საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირისა
ტფილისი 1927

სად რამდენი იგზავნება „განათლების მუშაკი“

ქ. ტფილისში	507	ცალი.
ტფილისის მაზრაში	22	„
ოზურგეთის მაზრაში	258	„
სენაკის „	247	„
ლეჩხუმის „	145	„
ზუგდიდის „	16	„
თელავის „	6	„
რაჭის „	67	„
დუშეთის „	38	„
ქ. ქუთაისი	სულ არა	
ქუთაისის მაზრაში	5	„
გორის „	69	„
ქ. ბათუმი „	21	„
ხულოს მაზრაში	20	„
ქობულეთში	1	„
ახალციხის მაზრაში	15	„
შორაპნის მაზრაში	123	„
სიღნაღის მაზრაში	50	„

ეს ცნობები ცხადყოფს სად ვინ მოისუსტებს. რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს იმ ადგილკომებს, სადაც ჯერ არ ჩაუტარებიათ ხელის მოწერა, ან და არ შეუგროვებიათ საკმაო რიცხვი,—დააჩქარონ ეს საქმე.

შეცდომების გასწორება. „გ. მ.“ № 3-ში მე-47 გვერდზე პირველი ცხრილი 1924—25 წლიდან ბოლომდე უნდა შესწორდეს ასე: გერმ.—282, 276, 242, დანარჩ.—1.160, 1141, 1185.

ბრძოლა პირველობისათვის.

ევკენისთვის ათს ქალაქ ბუენოს-აირესში(არგენტინაშია) დაიწყო შეჯიბრი შახმატის მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის კაპაბლანკასა და ალიოხინს შორის. ყველა ქვეყნის შახმატისტები—და ესენი ცოტა არ გეგონოთ: მარტო საბჭოთა კავშირში 100.000-მდე შეკავშირებული შახმატისტებია—და მილიონი არაშახმატისტები უჩვეულო გატაცებით ადევნებენ თვალყურს გაზეთების საშუალებით ამ ბრძოლას ვინ გაიმარჯვებს: შეინარჩუნებს შახმატისთა შორის პირველობის გვირგვინს ისევ კაპაბლანკა, თუ აჯობებს რუსი ალიოხინი

გაგრძელება იხ. კანის მე-3 გვ.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲛᲣᲨᲐ ᲒᲚᲔᲮᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ

ᲐᲕᲔᲠᲘᲡ

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲘᲡ

№ 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ 15 № 4

5 206

რევოლუციის მე-XI წელი

საკავშირო პროლეტარიატმა და გლეხობამ დიდი ზეიმით გადაიხადა რევოლუციონურ ბრძოლის და გამარჯვების ათი წელი. დაიწო მე-XI წელი, იმ გმირულ ეპოპეის, რომელმაც 1917 წელს პირველ ათ დღეში შესძლო მთელი ქვეყნის შენძრევა.

ისტორიისათვის უჩვეულო წლების შემქნელია ჩვენი საკავშირო მუშურ-გლეხური მასა, რომელმაც ბრწყინვალედ დაუმტკიცა მთელი ქვეყნის მტაცებლებს, რომ აღმავალ მუშათა კლასს შეუძლია არა მარტო ძველის დანგრევა, არამედ მას შესწევს ძალა ახალი საზოგადოებრივი წყობილებაც შექმნას. ინტერვენციის, ბრძოლის და სამოქალაქო ომის ჭარ-ცეცხლში გავლილი რუსეთი უფრო ნახანძრევ ქვეყანას წააგავდა, და აი, ამ გაერანებულ ვეებერთელა სივრცის აყვავება შესძლო მან, ვინც რევოლუციამდე მხოლოდ მონის მდგომარეობაში თუ წარმოედგინა გაბატონებულ კლასს. ს. ს. რ. კ. მუშათა კლასმა მომაკვდინებელ ფაქტებით დაუმტკიცა საერთაშორისო ბურჟუაზიას, რომ მსოფლიო რევოლუციისათვის თავგანწირულ მებრძოლთ შეუძლია მიუხედავად მრავალ დაბრკოლებებისა მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს სოციალისტურ მშენებლობას. ამაშია სწორედ საიდუმლოება საბჭოთა კავშირის გამძლეობის და მისი მომავალი დამოკიდებულია სამეურნეო ფრონტზე ახალ გამარჯვებათა მოპოებისაგან. მშრომელთა ეკონომიურ და კულტურულ პროგრესისათვის მსახურება– აი ის, რისთვისაც არის მოწოდებული მუშურ-გლეხური სახელმწიფო.



მაგრამ ომის საფრთხე დიდ დაბრკოლებად ეღობება საბჭოთა რესპუბლიკას ამ მიმართულებით. ომის აჩრდილი თავს დასტრიალებს ევროპას და კაცობრიობა კარგად გრძნობს იმ საშინელებას, რომელიც თავს უნდა დაატყდეს ჰაერო-ტანკებისა და მოწამლულ გაზების სახით.

ამ ბოროტების ძირიანად აღმოფხვრის ლოზუნგს ქვეშ დაიწყო ოქტომბრის ბრძოლა, რომელმაც მოუწოდა მთელი ქვეყნის პროლეტარიატს ზავისაკენ და საკუთარ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა როლი ითამაშა ევროპის პროლეტარიატის თანაგრძნობამ რუსეთის რევოლუციის გამარჯვებაში ინტერვენციაზე.

დღესაც მთელი ქვეყნის პროლეტარიატის იმედით იბრძვის საბჭოთა კავშირი. 10 წლის თავის აღსანიშნავად მოწყობილი მანიფესტაციები ტოკიოში, სადაც დაატყვევეს 100-მდე მონაწილე, მასიური მიტინგები ბუენოს-აიერესში და 7 ნოემბრის აღსანიშნავად გამართული დღესასწაული ნორვეგიაში და მრავალ სხვა ქვეყნებში—იმის მოწმეა, რომ ს. ს. რ. კ. პროლეტარიატს მტკიცე მოკავშირეები ჰყავს მსოფლიოს ყოველ კუთხეში. დასახელებული ფაქტები მოწმობენ, რომ ოქტომბრის 10 წლის თავი არის მსოფლიო მუშათა კლასის ინტერნაციონალური დღესასწაული.

ოქტომბრის მე-XI-ე წელი დასაწყისია ახალი ისტორიის ახალი პერიოდის მუშათა კლასის ისტორიაში და პროლეტარიატიც ყოველ წუთში უნდა ელოდეს „უკანასკნელ და გადამწყვეტ“ ბრძოლის დაწყებას.

10 წლის თავი აახლოებს მსოფლიო სოციალურ რევოლუციას და მას ხელს ვერ შეუშლის ხარბინის სობოროში თავშეყრილი „რევმატიკების“ წყევა-კრულვა. მათ ნება აქვთ ხარბინში ატარონ გულზე დაკერებული ძველი რუსეთის სამეფეროვანი დროშა, ხოლო ს. ს. რ. კ. ტერიტორიაზე ამის უფლებას არავის მივსცემთ და მტრების გულსაკლავად ჩვენ ხელში მუდამ იელვარებს წითელი დროშა.

ოქტომბრის 10 წლის თავზე ბრმებმაც კი უნდა დაინახონ, რომ მშრომელთა ძალა-უფლება და საბჭოთა სისტემა მალე დამკვიდრდება მთელ მსოფლიოში.

დ. კარნეიჩიკი.

პედაგოგიური შრომის კულტურისათვის.

I-ის რაც არის.

(ფაქტები ღაღადებენ.)

მითხარი, კრიტონ—ჰკითხა სოკრატემ—როდესაც შენ წაღები ფეხებს გატკენს და მათში სიარული ძნელი და უხერხული იქნება, ვის მიმართავ ამ ბოროტების მიზეზის გამოსარკვევად და მის გამოსასწორებლად?

— მეწაღეს!—მტკიცედ და დაუფიქრებლად მიუგო კრიტონმა.

— ძალიან კარგი. მაგრამ თუ შენი სახლის კედელი შეირყა და წაქცევას ლამობს, ვის მოიწვევ სათათბიროდ და მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად, თუ-კი ეს შესაძლებელი იქნება?

— ხუროს,—იმავე სიმტკიცით უპასუხა კრიტონმა.

— ჩინებული. მაგრამ თუ-კი შენი შვილების აღზრდის საქმეში ამჩნევ რაიმე შეუსაბამობას,—შეუფერებელს და მიზანშეუწონელს, თუ-კი ერთის სიტყვით, შენ აღგეძრა პედაგოგიური ხასიათის ეჭვები,—ვის მიმართავ რჩევისა და დახმარების სათხოვნელად?

კრიტონი შეყოყმანდა. გაურკვეველობა აღებეჭდა სახეზე. მისი თვალები საგნიდან საგანზე გადახტოდა, ეიმოქს არჩევდა—რომელი მათგანი გამოდგება კითხვის პასუხადო.

რამდენიმე ხნის ყოყმანის შემდეგ მან იჭვნეული მერყეობით და თითქმის კითხვისავე კილოთი სთქვა:

— ისევ-ისე ხუროს?

მაგრამ სოკრატმა სათნოიანი ღიმილით უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— ექიმს?.. ქიმიკოსს?.. იუპიტერის ქურუმს?..

სოკრატე უარყოფია ნიშნად თავს აქნევდა.

დაფანტული და ჩაფიქრებული კრიტონი სდუმდა, მაგრამ უცებ თითქოს ახალმა აზრმა ჰეშმარიტების ნათელი მოჰფინა მის გონებას, სახე გაბრწყინვებულმა შუბლზე ხელი დაიკრა და ღრმა რწმენის კილოთი მტკიცედ წამოიძახა:

— ჟურნალისტს!

მაგრამ მის წუთიერ აღფრთოვანებას მყისვე ბოლო მოელო, როდესაც ამ პასუხზეც ვერ მიიღო სოკრატესგან თანხმობა და მოწონება.

— მაშ ვიღას? — იკითხა კრიტონმა.

— პედაგოგს! — ლმობიერად და ჩაგონებით წარმოსთქვა სოკრატემ.

კრიტონმა გაოცებით გამოაცეცა თვალები.

— ნუ-თუ?!. პირველად მესმის [1]). —

ეს მშვენიერი დიალოგი საუკეთესოდ ახასიათებს პედაგოგის მდგომარეობას საზოგადოებაში. მას ვერ იცნობენ, როგორც პედაგოგს, — როგორც ადამიანს, რომელსაც სრულად და საფუძვლიანად ჰქონდეს შესწავლილი მოზარდი ორგანიზმის ყველა თავისებურობანი, ბავშის ფიზიკური და ფსიქიური განვითარების დეტალები, — ჰასაკთა მიხედვით. მას ვერ იცნობენ როგორც ადამიანს, რომელსაც შეეძლოს ბავშისა და მისი გარემომცველი წრის, თუ პირობათა, შესწავლის წყალობით გაარკვიოს, — თუ სავსებით არა, დაახლოვებით-მაინც სწორი — ბავშზე ზეგავლენის საშუალებათა ნორმები, მისი — (ბავშის) — სოციალურ-ბიოლოგიური სასარგებლო თვისებათა განვითარება-განმტკიცების მიზნით. მას ვერავინ იცნობს როგორც ადამიანს, რომელსაც კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი პედაგოგიურ სისტემათა ისტორია და შეეძლოს სწორად შეაფასოს და ანგარიში გაუწიოს პედაგოგიკის წარსულ თეორიის და პრაქტიკის ნაკლს, თუ მიღწევებს და ამის მხედვით ააგოს თვისი პედაგოგიური მუშაობის პროცესი, თანამედროვე პროგრამების მოთხოვნილებებთან სრული შეფარდებითა და შეგუებით. მას ვერ ცნობენ როგორც პედაგოგს. უკეთეს შემთხვევებში იცნობენ მას, როგორც ზნეობრივ დამრიგებელს, ქადაგებით ჩამგონებელს, როგორც **„მასწავლებელს“**, რომელიც ტლანქი ზომებითა და უხეში ძალდატანებით უნერგავს ბავშებს წერა-კითხვისა, ანგარიშისა, და გრამატიკის მშრალ კანონებს. მათში ხედავენ ადამიანს, რომელიც განსაზღვრულ საათების განმავლობაში ართობს სასკოლო ჰასაკის ბავშებს და ამით იხსნის ოჯახს, მშობლებს, უფროსებს ბავშთა არა სასიამოვნო სიცელქისაგან. მოთხოვნილება, რომელსაც უყენებენ მასწავლებელს ოჯახი, მშობლები არ არის დიდი — ასწავლე ჩემს შვილს კითხვა, წერა და ცოტა ანგარიში, — თუ-რა მეთოდებით შეიძლება, ან უმჯობესი იქნება ამ ჩვევათა მოპოვება, ეგ მშობელთათვის სულ ერთია. თუ-გინდ სცემე, დასაჯე, როგორც გინდა აწვალე, ოღონდ-კი ეგ ელემენტარული ცოდნა მიეცი. დღესაც-კი მშობლები ძალიან ხშირად მოითხოვენ სხვადასხვა წესით ბავშების დასჯას და ხშირად მასწავლებელიც ხდება, ამ უმეცართა გარემოს ზეგავლენით, მშობელთა ასეთი ველური მოთხოვნილების აღმასრულებელი.

თუ-კი მშობელთა უვიცი, გაუნათლებელი ნაწილი სრულიად უმნიშვნელო

[1]) „Что такое педагогика и чему она учит“. Из „Народной энциклобедии“ т. IX.М. 1911 г.

მოთხოვნილებებს უყენებს მასწავლებლობას, თუ-კი ფეოდალურსა და სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალიზმის ხანებში გაბატონებული კლასები სავსებით კმაყოფილდებოდენ მასწავლებელთა კულტურის მეტად დაბალი დონე-ხარისხით, ჩვენი თანამედროვე საბჭოთა საზოგადოებრივობა სწავლა-აღზრდის სრულიად ახალ მიზნებთან და სასკოლო მუშაობის ახალ პროგრამებთან, მოითხოვს მასწავლებლიდან მეტად მაღალს, ზოგადსა და სპეციალურ პედაგოგიურ კულტურას.

და სრულიად სამართლიანად სწერდა ლენინი: „სახალხო მასწავლებელი უნდა იქნეს დაყენებული ჩვენში იმ სიმაღლეზე, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არა სდგას და არც შეუძლია იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში".

მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ თანამედროვე ჩვენს სინამდვილეში?

მასწავლებელთა მასსა მიდის საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად. იგი 10 წლის რევოლუციის განმავლობაში ძალზე ამაღლდა და გაიზარდა პოლიტიკურად. იგი ყოველი ძალ-ღონით ცდილობს შეიგნოს, შეითვისოს, შეიცნაუროს და განახორციელოს განსახკომის მეთოდოლოგიურ ბიუროს პროგრამები. მასწავლებელთა გადამზადებამ ფრიად საგრძნობი და თვალსაჩინო შედეგები მოგვცა. მაგრამ ჩვენი მასიური მასწავლებლობა პედაგოგიურად მაინც მოუმზადებელია; იგი არამც-თუ უკულტუროა თავის დარგში, არამედ პედაგოგიურად უვიცი და სრულიად უმეცარია. მოვიყვანოთ ციფრები: ამ ჟამად ჩვენი თანამედროვე მასწავლებლობის 75% სრულიად მოკლებულია რაიმე პედაგოგიურ მომზადებას. ვინ არიან ეს 75%?—ესენი გახლავთ უმეტეს შემთხვევაში ცხოვრებისთვის გამოუდეგარნი, სხვადასხვა ჯურის უხერხული და უვარგისი ტიპები. მათ ხშირად არ უყვართ თავიანთი პროფესია, მაგრამ სხვა გზა აღარ გააჩნდათ. ისინი ზიზღითა და მძულვარებით ეპყრობიან თვით მასწავლებლის წოდებას. მაგრამ მაინც რჩებიან მასწავლებლებად, რადგან მხოლოდ ამ ხელობისათვის (ვითომ-და) არ არის საჭირო არავითარი **სპეციალური** მომზადება. ხოლო საერთო, ზოგადი ცოდნა-კი მათ მოეპოებათ—ელემენტარული წერა-კითხვის რაოდენობით-მაინც. და ეს-კი სრულიად საკმარისად მიაჩნიათ მასწავლებლობის ხელოვნებისათვის და, აი სწორედ აქ არის დასაბამი ჩვენი სკოლის მთელი უბედურებისა და ტრაგედიისა. აბა ჩაუფიქრდეთ: ასეთი ზოგადი, ელემენტარული ცოდნა-მომზადებით მათ არ დაუშვებენ არც ექიმად, არც მიწის მზომელად, არც ვექილად, არც მემანქანედ, და თვით დურგლად, მჭედლად და მეწაღეთაც-კი.—რატომ? იმიტომ რომ ყველა ეს პროფესიები მოითხოვს გარკვეულ სპეციალურ მომზადებას. და ერთად-ერთი პროფესია, რომელიც იტანს სრულ ასპროცენტიან უვიცობას თავის სპეციალურს დარგში, არის მხოლოდ მასწავლებლის პროფესია. მართალია ზოგიერთ მათგანს აქვთ დიდი პრაქტიკული სტაჟი, რამოდენიმე მეთოდიური გამოცდილება საკუთარი დაკვირვებიდან და ზოგჯერ

გვარიანი მასწავლებელნიც არიან, მაგრამ მხოლოდ—სტაჟი და პირადი დაკვირვებით განსაზღვრული გამოცდილება, ვერ ამოსწურავენ პედაგოგიურ პროფესიის მთელს სირთულეს. სტაჟსა და გამოცდილებას, წინასწარ გარკვეული თეორეტიულ-პედაგოგიური მომზადებასთან ერთად შეუძლიათ გაცილებით უფრო მეტი ნაყოფის მოცემა და მთლიანად მუშაობის ხარისხიც იქნებოდა გაცილებით უფრო მაღალი.

ასეთია ჩვენი მასწავლებელთა ერთი კატეგორია.

ჩვენი მასწავლებლობის დანარჩენ 25%-ს ეკუთვნიან ნაწილობრივ ძველი საოსტატო სემინარიელები და ინსტიტუტელები, ხოლო ნაწილობრივ პედ. ტეხნიკუმები და უმაღლესი პედ. სასწ. დამთავრებულნი. ჩვენ ვიცით, ვის უშვებდა ძველი სემინარია და ინსტიტუტი, ჩვენ ვიცით აგრეთვე, ვის უშვებდენ დღემდე ჩვენი პედტეხნიკუმები. ძველი, რევოლუციის წინა დროის საოსტატო სემინარიიდან და ინსტიტუტიდან გამოსული მასწავლებელი, უნდა ვაღიაროთ, არ არის ცუდი ტეხნიკოსი, მას უეჭველად აქვს შეთვისებული წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლების ზოგიერთი პედაგოგიურ-მეთოდიური წესები და საშუალებანი, მაგრამ მას აკლია ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ კვლევითი მიდგომას, მას არა აქვს ფართო შემოქმედებითი გაქანება მუშაობაში, აკლია საკუთარი ინიციატივა. ვიწროდ განსაზღვრული შაბლონი, რუტინა და შეზღუდული ქმნადობა ახასიათებს მის პედაგოგიურ მუშაობას. პედტეხნიკუმ დამთავრებულთ-კი, სამწუხაროდ, ხშირად არ მოეპოვებათ სწავლების საქმეში ის პედაგოგიური ჩვევანიც, რომელნიც აქვთ ძველ მასწავლებლებს. მართალია აქ ზოგჯერ სჩანს ინიციატივა, აქტივობა, მუშაობის გულწრფელი სურვილი, მაგრამ ყოველივე ამას თან სდევს საშინელი, სამარცხვინო უვიცობა, ზოგადი პირველ-დაწყებითი მომზადების უქონლობა. მაგრამ ამ დანაკლისის გამო მათ ბრალს ვერ დავდებთ.—ჩვენი პედტეხნიკუმელები უკეთესნი ვერ იქნებოდენ. რევოლუციის პირველ წლების პედტენიკუმები ძლიერ დაშორებულნი იყვნენ საჭირო სრულქმნილობას, შეიცავდნენ უამრავ ნაკლს და შეიძლება ითქვას, რომ ვერ აკმაყოფილებდენ ღირსეულ მასწავლებელთა მომზადების მინიმალურ მოთხოვნილებებსაც-კი.

ამ რიგად ჩვენი მასწავლებლობის პედაგოგიური კვალიფიკაცია ძლიერ მცირეა და დაბალი.

საგულისხმოა და საინტერესო ის გარემოება, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც, იმ მასალების მიხედვით, რომელიც ხელთა გვაქვს, მასწავლებელთა პედაგოგიური მომზადება ვერ ჩაითვლება ბრწყინვალედ. მაგ. ჩრდ. ამ. შეერთებული შტატების—გეპშირის ოლქის გან. ინსპექტორი—სამუელ ს. ბრუნსი ლაპარაკობს, რომ მის ოლქში მხოლოდ სამ მასწავლებელს ჰქონდა მასწავლებლის ხარისხი, ხოლო ორმა დაამთავრა მასწავლებელთა საზაფხულო კურსები; დანარჩენები სრულიად მოკლებული იყვნენ პროფესიონალურ მომზა-

დებას. ზოგიერთი მათგანი დაწყებითი სკოლის მერვე კლასს არ გასცილებია, მაგრამ უმასწავლებლიათ 10 დან 28 წლამდე ერთსა-და-იმავე სკოლაში. სამ მასწავლებელს ჯერ არ შესრულებიათ დაბადებიდან 20 წელი და ყოველგვარ პედაგოგიურ გამოცდილებას მოკლებულნი არიან, მაგრამ დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი. **მთელი მასწავლებლობის ორმოც-და-ათ პროცენტს თავის დღეში არ აუღიათ ხელში თვისი სპეციალობის წიგნები და ჟურნალები და არც იციან სად შეიძლება მათი შეძენა.**

ყოველივე ამის შედეგი, ცხადია, იყო ის მკვიდრი პროვინციალიზმი, რომელიც მხოლოდ დამღუპველ სივიწროვეს აძლევდა მათს მუშაობას. ისინი ხდებოდენ მიმბაძველთა მიმბაძველნი. მათი მეთოდი იყო მიბაძვა მათივე მასწავლებლებისა, რომელნიც თავის მხრივ ჰბაძავდენ თავიანთ საკუთარ მასწავლებლებსა და ასე შემდეგ. ამის შედეგი-კი იყო იმ ზომამდე არქაული მეთოდებისა და სახელმძღვანელოების ხმარება, რომ პირდაპირ სასაცილო და საოხუნჯო იქნებოდა, რომ ამავე დროს ეს გარემოება ჩვენი—სწავლა-აღზრდის ქებული სისტემის სამარცხვინო და სამწუხარო კომენტარიას არ წარმოადგენდეს [1]).

ზილბერფარბი მოგვითხრობს: საფრანგეთში იყო შემთხვევა, როდესაც განათლების სამინისტროს წარმომადგენელს მიუთითეს გამოცდილ მასწავლებელთა ახალი კადრის მომზადების სიძნელეზე, მას ეყო კადნიერება განეცხადებია, რომ მისი აზრით, სრულიად საკმარისია თვითონ გლეხებმა ასწავლონ ერთმანეთს წერა-კითხვაო [2]).

აქედან ნათლად სჩანს, რომ ბურჟუაზია, და განსაკუთრებით მისი ჩამორჩენილი ნაწილი, არაა მაინცა-და-მაინც დიდად დაინტერესებული, რომ მასიური მასწავლებლობა იყოს პედაგოგიურად კულტურული. ინგლისში,—გვიამბობს ლიპეცი ლონდონის სკოლებში, მასწავლებელთა უმრავლესობა კითხულობს მხოლოდ სამინისტროს ცირკულიარებს. და ზოგჯერ კიდევ გაზ. „ტაიმს“-ის ყოველ კვირეულ დამატებას. დიდმა უმრავლესობამ იცის მხოლოდ ის, რომ უნდა იძუშაოს ისე, როგორც უბრძანებს გამგე, ან კიდევ სასკოლო ხელისუფლების ზედა ორგანოები [3]). ფიზიკურ დასჯას, იმავე ავტორის მოწმობით, ინგლისის სკოლებში ფართო ადგილი უჭირავს.

ყველა ეს დამახასიათებელი ფაქტები აშკარად ღაღადებს, თუ როგორი განწყობილებით ეპყრობა ბურჟუაზია მასწავლებლის, პედაგოგის კულტურას. ისინი ცდილობენ, რომ ეს კულტურა იყოს ისეთი, რომ ხელი შეუწყოს არსებული მდგომარეობის განმტკიცება-შენარჩუნებას.

თავისთავად ცხადია, რომ აქ მოყვანილ რამდენიმე ფაქტის განზოგადოება და საერთო დასკვნის გამოყვანა მეტად ნაჩქარევი იქნებოდა. ეს ფაქტები

[1]) Самуэль С. Брунс. „Стандарт в школе. Изд. „Космос“ 1926 г.

[2]) Н. Зильбер-фарб. „Современная революционно-педагогическая Франция“ М. 1926 г.

[3]) А. Липец. „Шесть недель в английской школе“. М. 1926 г.

უეჭველად დამახასიათებელია ბურჟუაზიულ ქვეყნებისათვის, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ევროპისა და ამერიკის პედაგოგი მასიურად უფრო კულტურულია, ვინემ ჩვენი.

ჩვენი მასიური მასწავლებლობის პედაგოგიური მოუმზადებლობა იძლევა ფრიად სამწუხარო შედეგებს. ეს მოუმზადებლობა დიდ დაღს ასვამს ჩვენს სკოლას. მასწავლებლებმა არ იციან, როგორ მოაწყონ ბავშთა კოლექტივები, უძლურნი არიან სასწავლო-განმანათლებელ მუშაობის დაგეგმვა-აღრიცხვის საკითხებში, და ცდილობენ ფორმალურად გაატარონ კომპლექსური პროგრამა, რისგამო კომპლექსი ზოგჯერ იქცევა ცალკე თავისებურ, დამოუკიდებელ საგნად, ან სრულიად ქრება. მასწავლებელთა უმრავლესობას აკლია ტეხნიკური ზომები ამა, თუ იმ ჩვევათა სწავლების საქმეში; აკლია სასკოლო მუშაობისა და სოციალურ მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანათა შორის კავშირის გაგება-შეგნება. და აი, ყოველივე ეს დანაკლისი ამახინჯებს და აუკუღმართებს დღევანდელს სასკოლო მუშაობას და აშორებს მას იმ ნორმებსა და მიზნებს, რომელთაც აყენებს საპროგრამო მოთხოვნილება. საზოგადოება, სახელმწიფო მოითხოვს სკოლიდან ყოველის მხრივ სრულ-ქმნილ მოქალაქის აღზრდას, რომელიც უნდა იყოს საღი, ძლიერი, აქტიური შეძომქმედი, მაღალი კვალიფიკაციის, უანგარო და გულწრფელად თავდადებული და სასტიკი დისციპლინით გამობრძმედილი მებრძოლი—კომუნისტური წყობილების მშენებელი[1]). მაგრამ ამ სოციალურ მოთხოვნას, თუ შეკვეთას დღევანდელი სკოლა ვერ ასრულებს, ან-და ასრულებს მხოლოდ ნაწილობრივ და იმასაც დამახინჯებითა და გაუკუღმართებით, ბარბაროსული ზომებისა და მუშაობის ველური წესების გამოყენებით. მართალია, სკოლათა სიღატაკე, მოუწყობელობა, მასწავლებელთა ნაკლები ნივთიერი უზრუნველყოფა, პროგრამებისა და მეთოდების სიახლე და სხვადასხვა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტებია სასკოლო მუშაობაში. და უეჭველად წილი უდევთ მის დამახინჯება-გაუკუღმართებაში, მაგრამ ჩვენც არასოდეს არ ვივიწყებთ ამას და ვამბობთ, დაჟინებით ვიძახით, რომ—მასწავლებელს ამ სიღატაკესა და დაბეჩავებულ მდგომარეობაში და სხვადასხვა... მით უმეტეს აუცილებლად უნდა იყოს იგი პედაგოგიურად კიდევ უფრო მომზადებული; აშკარაა, რომ მეტი სიძნელეთა და დაბრკოლებათა დაძლევა უეჭველად მეტ ცოდნასა და უნარიანობას მოითხოვს. და ხომ ვერც ერთი ექიმი ვერ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ—ვინაიდან იგი ღარიბია, ნივთიერად ხელმოკლე, ან სხვა-რამ გარემოება და პირობები ხელს არ უწყობდა,—მისთვის არ არის საჭირო მედიცინის ცოდნა?

ჩვენი მასწავლებელიც, რათა მან პირნათლად და დაუმახინჯებლად შეასრულოს მუშური სახელმწიფოს დავალება, უნდა იყოს კულტურული, ისეთივე სპეციალური მომზადებით აღჭურვილი პედაგოგიურ დარგში, როგორც სხვა პროფესიის წარმომადგენელნი არიან თავიანთ დარგებში, მაგრამ ასეთი პედაგოგი ჩვენ ჯერ არა გვყავს.

(დასასრული იქნება)

[1]) См. Н. Шульман: „Общие методы школьной работы". „ед. Пэнциклопедия". т. I.

ვ. ნადარეიშვილი

მასწავლებელთა თვითგანვითარებისათვის

ჩვენი ჟურნალის № 2-ში ამხ. პ. ჭანიშვილის მიერ მეტად საინტერესო საკითხია აღძრული.

საკითხს **თვითგანვითარების** შესახებ უაღრესად აქტუალური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი კავშირის ძირითად მასისათვის—მასწავლებელთათვის. ეს საკითხი არც ისე ახალია ჩვენი სინამდვილისათვის: აუარებელი დადგენილებებია მიღებული ჩვენი კავშირის ყრილობა-კონფერენციების მიერ ამ საკითხის გარშემო; ვინ მოსთვლის რამდენი სადირექტივო წერილები, ცირკულიარები, გეგმები და პროექტები დაწერილა თვითგანვითარების ირგვლივ. მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი, ძალიან ბევრი მტკივნეული ადგილები გვაქვს ყოველივე ამის პრაქტიკულ განხორციელებაში.

რა სტკივა თვითგანვითარების საკითხის მოგვარების საქმეს?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ლამაზი და ჩამოსხმული რეზოლიუციები, გეგმები, პროექტები და სხვა ასეთები ძალიან ხშირად კაბინეტურ ხასიათს ატარებს და სავსებით მოკლებულია იმ რეალურ სინამდვილეს, რომელშიაც უნდა იქნას წარმოებული ეს მუშაობა; მასთან მხედველობიდანაა გამოშვებული ის სპეციფიური პირობები, რომელშიაც უხდებათ მუშაობა სოფლის განათლების მუშაკთ,—ამ უკანასკნელთ-კი სწორედ ყველაზე მეტად ეჭირვებათ თვითგანვითარების შესახებ ზრუნვა და დაფიქრება. ზემოაღნიშნულისა გამო თვითგანვითარებითი მუშაობა ღებულობს დამახინჯებულ სახეს, რაც ნაცვლად ხალისისა და ინტერესისა გულს უცრუებს მსურველებს.

თუ გადავავლებთ თვალს განათლების მუშაკთა ცხოვრების სინამდვილეს, ამოვიკითხავთ შემდეგს:

ერთის შეხედვით თითქმის ყველაფერი რიგზეა: წრეები დაარსებულია, მათი ხელმძღვანელები ამორჩეულია, ლიტერატურა მოზიდულია, გეგმა შედგენილია უნაკლო. მაგრამ? მაგრამ ისა, რომ ეს წიგნები გაუჭრელი რჩება, გეგმა გეგმად რჩება, წრის არსებობა საორგანიზაციო კრებების იქით იშვიათად თუ მიდის და, ამ რიგად, სოკოსავით გამრავლებული წრეები გაზაფხულის ყინულივით დნება. ოფიციალური ბლანკი თუ ანკეტა „შეესებულია“: ამდენი კრებები

გვქონდა, ამდენი წევრი დაესწრო, ამდენი და ამდენი ლექცია-მოხსენებები მოვისმინეთ და სხვა. რაშია საქმე? სწორედ იმაში, რომ წრის მთავარი ხაზი მსმენელის სულიერ მოთხოვნილებასთან და გონებრივ ავლა-დიდებასთან არ არის შეფარდებული, ეს მოთხოვნაც არ-არის შესწავლილი, წრისათვის ლიტერატურა არ არის შერჩეული, თვით წრეც დაარსებულია არა ადგილობრივი ინიციატივით, არამედ „თანახმად განკარგულებისა“ და „დადგენილებისა“ და ბოლოს, თუ გნებავთ, თვით ეს წრეც აბსოლუტურად მოკლებულია სასიცოცხლო უნარს და იგი, როგორც ფორმა, არსებულ პირობებში შეუფერებელია ხათვითგანვითარებო მუშაობისათვის.

დიაღ, წრეები ვერ იზიდავს მასწავლებლებს, ვერ იწვევს მთში ხალისს და თუ ვინმე ესწრება წრეს,—მგონი უფრო მორიდებით და სხვა „მოსაზრებით“, ვინემ საკუთარი ინტერესით.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩატარებული განათლების მუშაკთა სამაზრო კონფერენციები თითქმის ერთსა და იგივეს აღნიშნავდენ: **„მოწესრიგებულ იქნეს სათვითგანვითარებო მუშაობა განათლების მუშაკთა შორის“-ო.**

აქ ყველაფერი იმის გარშემო ტრიალებს, რომ ჯერ ერთი—ყველაფერი რიგზე არ არის და, მეორედ, ადგილობრივი მოთხოვნილება სრულებით შესწავლილი არ არის. სწორედ ეს შესწავლაა პირველყოვლისა საჭირო.

ორიოდე სიტყვა ლიტერატურაზე. ვინ არ გინდა, რომ ლიტერატურით დატვირთული სოფლის მასწავლებელს არ მოადგეს კარზე: მოაქვთ ძველი, დახავსებული უვარგისი და გაუსაღებელი ლიტერატურა ან და ისეთი, რომელიც ჯერ არ გამოცემულა, რამოდენიმე წლის შემდეგ გამოიცემა ან სულაც არ გამოიცემა; უმეტეს შემთხვევაში უკანასკნელ მოვლენას აქვს ადგილი: მასწავლებლები სულ ამაზე ჩივიან, რომ მათ პირდაპირ მოსვენებას არ აძლევენ სხვადასხვა სახის მანდატებით აღჭურვილნი პირები, რომლებიც ფულს გამოფცქვნიან, რაღაც ქვითარს დაუტოვებენ და შემდეგ კი უცადე წიგნს, რომელიც ზოგჯერ არც კი გამოდის. რაღა გასაკვირია, თუ ამის შემდეგ ფრიად საჭირო და სასარგებლო ლიტერატურასაც აცდეს მასწავლებელი.

მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ თვითგანვითარებითი მუშაობის ფორმებიც. რა გინდ თეორეტიულად მისაღებად და დასაბუთებულად არ უნდა მივიჩნიოთ წრის სახით კოლექტიურად მუშაობის წარმოება,—სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი აქტიური მასწავლებლებისა დიდ უპირატესობას აძლევენ თვითგანვითარების **ინდივიდუალურ** ფორმას. მართლაც და სერიოზულ წიგნებზე სერიოზულად ჯდომას და მყუდროობაში დაკვირვებით წაკითხვას გაცილებით მეტი სარგებლიანობის მოტანა შეუძლია, ვინემ წრეში „ლექციების“ მოსმენას. თუ მასწავლებელთა ცხოვრების პირობებს (სოფლად) გავუწევთ ანგარიშს, ზემოთმოყვანილმა არ უნდა გამოიწვიოს დავა, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ინდივიდუალურად მიღებულ ცოდნას ბოლოს და ბოლოს უნდა მიეცეს კოლექტიური სახე.

თვითგანვითარება—მასწავლებელთა კვალიფიკაციის აწევაა. ამაში თანაბრად უნდა იყონ დაინტერესებულნი კავშირი და განათლების განყოფილებათა ორგანოები. ორივემ ყოველ მხრივ ხელი უნდა შეუწყონ ამ დიად საქმეს.

ნ. ჯეიშვილი

განათლების მუშაკთა სახლები.

განათლების მუშაკთა სახლის მუშაობის გაძლიერების საქმეში უდიდესი ადგილი უჭირავს ხელმძღვანელობას, სახლის გამგეობის საქმიანობას. აქედან ცხადია, რომ გამგეობის წევრებად არჩეული უნდა იყვნენ არა შემთხვევითი პირები, არამედ აქტიური, გ. მ. სახლ. მუშაობით დაინტერესებული ამხანაგები. მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის,—საჭიროა მუდმივი კავშირის დაჭერა სახლსა და სახლის წევრებს შორის. ამისათვის უნდა მოვაწყოთ რწმუნებულთა ინსტიტუტის ორგანიზაცია, რომელიც არა ფორმალურად, არამედ გულწრფელად უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას. წევრებს უნდა აცნობდეს სახლის მუშაობას დაწვრილებით და ს. გამგეობას კი წევრების სურვილს, მათ კმაყოფილებას და უკმაყოფილებას სახლის მუშაობის შესახებ. ამ მიმართულებით მუშაობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. რწმუნებულები უნდა იკრიბებოდენ გ. სახლის მუშ. გეგმის, ხარჯთაღრიცხვის და ანგარიშის მოსასმენად და განსახილველად.

განათლების მუშაკთა სახლების მუშაობის მაჩვენებელია წევრობა და საწევრო გადასახადების თავის დროზე შემოტანა,—თუ ორივე საკითხი მოწესრიგებულია—ეს იმის მომასწავებელია, რომ გ. მ. სახლში მუშაობა კარგად არის დაყენებული. სახლის წევრი უნდა დავაინტერესოთ წევრობით. ისინი უნდა ღებულობდენ შეღავათიან და უფასო ბილეთს კინოზე, კონცერტებზე და სხვა. **საოჯახო საღამოები უნდა ეწყობოდეს გ. მ. სახლების წევრების და მათი ოჯახის წევრებისათვის,** მათ ჰქონდეთ უფლება პირველ რიგში ისარგებლონ ბიბლიოთეკის წიგნებით და სხვა. განათლების მუშ. სახლის წევრობისათვის განსაკუთრებულად სამსახურის გაწევას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ყოველივე ეს აშკარად ამჟღავნებს წევრების მნიშვნელობას.

განათლების მუშ. სახლში უნდა იპოვოს მძლავრი გამომძახილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, პროფმოძრაობის და სახალხო განათლების საკითხებმა — ასეთია დირექტივა, რომელიც მოგვცა მე-6 საკავშირო ყრილობამ.

განათლების მუშაკთა სახლის მუშაობაში განათლების განყ. უნდა ღებულობდეს აქტიურ მონაწილეობას, მოხსენებების, კონსულტაციის, კაბინეტების და ასოციაციების მო-

წყობაში. საბიბლოთეკო მუშაობის ჯეროვან დონეზე დაყენების საქმეში გან. განყოფილებ. უნდა მიიღოს აგრეთვე მონაწილეობა. ბიბლიოთეკებში მომუშავეთა სრულიად საკავშირო თათბირის დადგენილებები უნდა დაამუშაოს სახლის გამგეობამ და ცხოვრებაში გაატაროს განათლების განყოფილებასთან ერთად.

ასოციაციების მოწყობა საჭიროა განათლების მუშაკთა სხვადასხვა ფენების მუშაობაში ჩასაბმელად, მათი აქტივობის, ინიციატივის და შემოქმედების გამოსამჟღავნებლად. და ამ ახალ ფორმას მუშაობისას გამგეობამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს.

გართობის საკითხი ჯერ კიდევ ვერ არის ჯეროვნად დაყენებული. განათლების მუშაკთ ყოველგვარი დადგმები, კონცერტები, კინო და მოხსენებები ვერ დააკმაყოფილებს. საჭიროა მათი შერჩევა, განათლების მუშაკთა მოთხოვნილებებთან და გემოვნებასთან შეფარდებით.

აგრეთვე დასასვენებელი ოთახი უნდა იყოს მორთულ-მოწყობილი სათანადოდ (ჭადრაკი, ნარდი, ბუფეტი და სხვ.)

ამგვარი სახის მუშაობით შესაძლებელი იქნება, რაც შეიძლება მეტი განათლების მუშაკი მივიზიდოთ განათლების მუშაკთა სახლში.

ამ გვარად ახალად არჩეულმა გამგეობამ უნდა მიაქციოს ყურადღება საკლუბო მუშაობის ორგანიზაციულ მხარეს და მუშაობის შინაარსს.

მუშაობის საორგანიზაციო ფორმები.

1. განათლების მუშაკთა სახლის წევრთაოვის შეღავათის დაწესება.
2. გ. მ. სახლ. გამგეობის წევრების მორიგეობის შემოღება.
3. რწმუნებულთა ინსტიტუტის შექმნა.

მუშაობის შინაარსი.

1. პოლიტ-პროფ. და სხვადასხვა მეცნიერულ თემებზე მოხსენებების მოწყობა.

2. განათლების მუშაკთა მოთხოვნილების თანახმად ასოციაციების მოწყობა. პოლიტ-პროფესიონალური, საზოგადოებრივ მეცნიერების, ბუნებისმეტყველების, მხარეთმცოდნეობის, ბიბლიოთეკების და სხვა.

3. მოკლე ვადიან პროფკურსების მოწყობა პროფაქტივის გადასამზადებელად.

4. სამხედრო კუთხის მოწყობა.

5. საშეფო, საბიბლიოთეკო და სათვითგანვითარებო კომისიების მუშაობის ხელმძღვანელობა.

6. კონცერტების, კინოს, საოჯახო საღამოების, რადიოს და დასასვენებელი ოთახის მოწყობა და სხვა.

ი. ლ.

ჩვენი კავშირის ფინანსები.

საფინანსო მუშაობა ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში საბოლოოდ და მტკიცედ ჩამოყალიბდა წარსული წლის განმავლობაში; ასე რომ უკვე მიმდინარე წელში ხარჯთ-აღრიცხვით არსებობაზე გადასულნი არიან დაწყებული მცირე უჯრედებიდან—როგორიც არის ადგილკომი, პროფკომი—და გათავებული ცენტრალური გამგეობით და ჩვენი კავშირს ცეკათი. მთავარი საკითხი, რომლის დაძლევა უხდებოდა ცენტრალურ გამგეობას და რაც, შეიძლება ითქვას, უკვე გატარებულია, ეს არის სახარჯთ-აღრიცხვითი დისციპლინა. ძნელი იყო პირველ ხანებში მიგვეჩვია მაზრები—არ გადაშორებოდა მათ მიერ შემუშავებულ და უმაღლეს საკავშირო ორგანოს მიერ დამტკიცებულ ფინანსიურ გეგმას; ხშირი იყო შემთხვევა ისეთი ხარჯების გაწევისა, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვაში არც კი იყო გათვალისწინებული, ასე რომ წარსულ წლებს ახასიათებდა ჩვენი დირექტივებისადმი ნაკლები ყურადღების მიქცევა და ხარჯთ-აღრიცხვის გასავლის მუხლების შეუსრულებლობა. ყოველივე ამას მიმდინარე წელში ავცდით. ასე რომ ფინანსიური მუშაობა უკვე ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს.

რა რაოდენობის თანხები იხარჯება ამა თუ იმ მუხლების მიხედვით %%-ობით საერთო შემოსავალთან?

თუ ავიღებთ ამ წლის მეორე ნახევრის ხარჯთ-აღრიცხვას (ორგ-ფონდის) რესპუბლიკის მასშტაბით ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

საერთო შემოსავალი (6 თვით) უდრის 99.254 მნ. 28 კპ. ამ თანხის 98 %-ს შეადგენს 2 %-ს საწევრო ანარიცხები.

საერთო გასავალი (ამავე პერიოდში) 96.468 მნ. 36 კპ. ეს თანხა ნაწილდება შემდეგნაირად:

	დასახელება	თანხა	%% შემოსავალთან
1	პირადი შემადგენლობა .	41.646—30	$38\frac{3}{4}$ %
2	ადმინისტრატ.-სამეურნეო.	6.970—38	$6\frac{1}{2}$ %
3	საორგანიზაციო ხარჯები .	12.467—	$11\frac{1}{2}$ %
4	%% გადარიცხვა	33.586—14	$31\frac{1}{2}$ %
5	სხვადასხვა ხარჯები . . .	1.798—08	2%
		96.468—36	

პირად-შემადგენლობიდან კავშირის 350 წევრზე მოდის ერთი დაქირავებული მუშაკი.

ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები მაზრებისთვის შეადგენს $7\frac{1}{3}\%$-ს ც. გ-სა $6\frac{1}{2}\%$.

საორგანიზაციო ხარჯები მაზრებში უდრის 17% — ც-გ-ში $7\frac{1}{4}\%$ $\%$ გადარიცხვები საწარმოებს: კულტ-ფონდში: მაზრებში $6\frac{1}{2}\%$, ც-გში 10%; სოფლად მუშაობისათვის—მაზრებში 4%—ც-გ.—$2\frac{1}{2}\%$; მეცნიერულ სექციის ფონდში—ც--გ.—50% მეცნიერულ მუშაკთა მიერ შემოტანილი 2% საწევრო ანარიცხებისა; უმუშევართა ფონდში—მაზრებში $1\frac{1}{2}\%$ ც.-გ-ში 10%. საერთო ჯამი გადარიცხვებისა მაზრებში შეადგენს—$21\frac{1}{3}\%$, ც. გ.-ში—$48\frac{2}{3}\%$.

გარდა ამისა დეფიციტიან სამაზრო განყოფილებებს ეძლევათ დოტაციის სახით ც. გ. სალაროდან-1266—84 (ა/წ. 1-ლ ნახ. ეძლეოდა 999—20) ასეთები არიან შემდეგი მაზრები; 1) ბორჩალოს, 2) დუშეთის, 3) ლეჩხუმის, 4) რაჭის, 5) ახალ-ქალაქის, 6) ზემო-სვანეთის. წარსულ ნახევარ წელში დეფიციტიან მაზრების რიცხვი უდრიდა 8-ს.

ფინანსიურად ძლიერი მაზრები ვალდებული არიან გადმოგზავნონ ც. გ. სალაროში ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული ნარჩები; ასეთი შემოსავლის ნარჩების ჯამი ა/წლის მეორე ნახევარში გათვალისწინებულია 4.052 მ. 76 კ: (ა/წლ. 1-ლ ნახ. გათვალისწინებული იყო 5.035—70).

ნარჩების გადმოგზავნა ც. გ. სალაროში საშუალებას გვაძლევს დახმარება გაუწიოთ სუსტ სამაზრო განყოფილებებს დოტაციის სახით.

მაშასადამე ც. გ-ის საერთო ხაზი სამაზრო განყოფილებებისადმი ფინანსიურ ურთი-ერთობაში მდგომარეობს შემდეგში: შესაძლებლობა მისცეს სამაზრო ორგანიზაციას ფინანსიურა გაჯანსაღებისა და ძლიერ მაზრებიდან კი მიიღოს აუცილებლად საჭირო თანხები რესპუბლიკანურ მასშტაბით გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად და დეფიციტიან განყოფილებებისათვის დოტაციის მისაწოდებლად.

მეცნიერების მუშაკთა მატერიალური მდგომარეობა.

მეცნიერების მუშაკთა მატერიალური მდგომარეობა ისეთი ნელი ნაბიჯით მიდის, რომ ჯერ კიდევ სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი. თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაა ჯერჯერობით ამ მხრივ ჩვენში, ეს იქიდანაც სჩანს, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა განაკვეთების რაოდენობა 72 მან. უდრის. უფრო ახალგაზრდა ძალები, დოცენტები და ასისტენტები კი ამაზე უფრო მცირე გასამრჯელოს იღებენ. მძიმე პირობებია აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებებშიც. აქ მეცნიერების მუშაკთა საშუალო ხელფასი ხშირად გამოიხატება 40-50 მანეთში. ყოველ შემთხვევაში საშუალო ხელფასი არ აღემატება 80 მან. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მეცნიერმა მთელი თავისი დრო მოანდომოს თავის პირდაპირი მოვალეობის შესრულებას, ე. ი. წმინდა მეცნიერულ მუშაობას. ის იძულებული ხდება ეძიოს სხვა სამუშაო, დაიტვირთოს თავი ათასგვარი სხვა საქმით, რომელსაც ხშირად კავშირი არა აქვს არც მის სპეციალობასთან და ხანდახან კი არც საერთოდ მეცნიერებასთან. მეცნიერების მუშაკის ასეთი დატვირთვა იწვევს მის დეკვალიფიკაციას, ადაბლებს მის ცოდნის დონეს და აქვეითებს სამეცნიერო შრომის უნარს. ყველამ ვიცით, თუ რა სწრაფი ნაბიჯით მიდის დღეს მეცნიერება. ამიტომ ბევრი დრო და შრომაა საჭირო მეცნიერისათვის, რომ არ ჩამორჩეს მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას და შესაფერის დონეზე შეინარჩუნოს თავისი კვალიფიკაცია. ამიტომ არის, რომ ზედმეტი დატვირთვა არამც თუ ხელს უშლის მეცნიერების მუშაკს მის კვლევა-ძიებითი მუშაობაში, არამედ ავიწყებინებს იმასაც, რაც მიღწეული აქვს და ხშირად საგნის უბრალო მასწავლებლად ხდის.

განსაკუთრებით ცუდ გავლენას ახდენს ასეთი დატვირთვა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო დაწესებულებების ახალგაზრდა სამეცნიერო ძალებზე. (ასპირანტებზე, ასისტენტებზე და სხ.), რომელთაც ხშირად დრო და საშუალება არა აქვთ სერიოზულად მოემზადონ სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. ჩვენი კავშირის და მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს თაოსნობით ამ ზაფხულს ტფილისში მოწვეულმა ამიერ კავკასიის მეცნიერების მუშაკთა სექციების თათბირმა, რასაკვირველია, დიდი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და დაადგინა სათანადო ნაბიჯების გადადგმა საქმის გამოსასწორებლად.

ჩვენი კავშირის და მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგანსაც ამ საკითხის მოწესრიგება შეადგენს.

აუცილებლად საჭიროა მეცნიერების მუშაკებისათვის გადიდებულ იქნეს ძირითადი გასამრჯელოს რაოდენობა იმდენად, რომ მათ აღარ სჭირდებოდეთ დამატებითი სამუშაოს ძებნა და მეტი დროც რჩებოდეთ წმინდა მეცნიერული ხასიათის მუშაობის საწარმოებლად. იმედიც არის, რომ ხელისუფლება, რომელსაც კარგად ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ძალების უზრუნველყოფას, სათანადო ზომების მიღებით გამოასწორებს მათ მატერიალურ მდგომარეობას და ამით გაუადვილებს ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერებას განვითარების ფართე გზაზე გასვლას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საერთოდ აღმშენებლობის უდიდეს წარმატებათა გადასაჭრელად.

X.

დ.

საბინაო კანონი და მასწავლებლობა.

პედაგოგიურ შრომის ხელფასის შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა კიდეც. მართლაც, მასწავლებლის შრომის ხელფასი მის მოვალეობასთან შედარებით, თითქმის ყველა სხვა დარგის მუშაკზე ნაკლებად არის შეფასებული.

მასწავლებელთა ასეთი მდგომარეობა საყოველთაოდ აღიარებულია და როგორც კავშირი, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოები ცდილობენ გამონახონ რაიმე საშუალება ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მაგრამ სახელმწიფოს მძიმე ფინანსიურ მდგომარეობის გამო დღესდღეობით შეუძლებელი ხდება ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად თანხების გაღება. ამიტომ ხელისუფლებისა და კავშირის ორგანოების ზრუნვა იქითკენ არის მიმართული, რომ მასწავლებელთა მდგომარეობა ჯერჯერობით სხვადასხვა შეღავათების მინიჭებით მაინც იქნას შემსუბუქებული.

ამ გვარ ღონისძიებას წარმოადგენს რ.ს.ფ.ს.რ. შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატების მიერ გამოცემული ინსტრუქცია საბინაო კანონის გატარებისათვის.

უკანასკნელის თანახმად, პედაგოგიურ შრომის პირთა ბინის ქირის გამოანგარიშება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ იმ ხელფასიდან, რომელიც მათ ეძლევათ მათთვის სპეციალურად დაწესებულ სამუშაო დროის ნორმის გასამრჯელოდ. ამ ნორმის ზევით ნამუშავრის გასამრჯელო ზედმეტ მუშაობისათვის აღებულ ხელფასად ითვლება და ბინის ქირის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება.

ჩვენ საბინაო კანონში ანალოგიურ შესწორების შეტანის შესახებ შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოების წინაშე განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შუამდგომლობას საესებით დაუჭერს მხარს მთავრობის წინაშე ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ბიუჯეტში საკმაო დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოდ მასწავლებელთა და კერძოდ ტფილისის მასწავლებელთა ხელფასს.

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს თავის მხრივ შემთხვევა ეძლევა შეამსუბუქოს მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა საბინაო კანონებში ამ ყოვლად სამართლიან კორექტივის შეტანის საშუალებით; ეს მისცემს მასწავლებლებს დაახლოვებით 10 - 15% ეკონომიას, რაც მათი მცირე ბიუჯეტისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას შეადგენს. ამავე დროს კანონში ამგვარი შესწორების შეტანა ქალაქის ბიუჯეტზე არავითარ გავლენას არ იქონიებს იმიტომ, რომ ტფილისის აღმასკომის განკარგულებაში მყოფ მუნიციპალიზაცია ქმნილ სახლების რაოდენობა 200—250 არ აღემატება; აქედან ცხადია, რომ მხოლოდ ზოგიერთ სახლებში შეიძლება ბინადრობდენ მასწავლებლები; მათი ბინის ქირის განსხვავება, რომელსაც მოგვცემს კანონში შეტანილი შესწორება, იმდენად უმნიშვნელო თანხას შეადგენს, რომ ბიუჯეტზე მისი გავლენის შესახებ ლაპარაკიც კი არა ღირს.

ამიტომ ეჭვი არ გვეპარება, რომ კავშირის მიერ დაწყებულ საქმეს, რომელიც მიმართულია უმტკივნეულო გზით მასწავლებელთა მდგომარეობის რამოდენიმედ გაუმჯობესებისაკენ, დასტური მიეცემა ჩვენი ხელისუფლების მხრივ.

ტფილისის მაზრის განათლების მუშაკთა კონფერენცია.

3 ნოემბერს ტფილისში გაიხსნა მაზრის განათლების მუშაკთა მე-6-ე კონფერენცია. კონფერენცია მოწვეული იყო ჩვენი კავშირის ც. გ. მიერ და დაესწრნენ მაზრის ყველა რაიონების (ტფილისის მაზრა დაყოფილია 13 რაიონად და თითეულ რაიონს ცალკე ადგილკომი ყავს) დელეგატები, რიცხვით 13 კაცი. კონფერენციის დღის წესრიგში საკითხები იყო დასმული: ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავი, ტფილისის განათლების განყოფილების მოხსენება ტფილისის მაზრის სკოლების ქსელის შესახებ, აღბულაღის ადგილკომის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ, ტფილისის მაზრის ძირითად პროფუჯრედების რეორგანიზაცია, ძირითად პროფუჯრედების კულტმუშაობა, სატარიფო საკითხები და შემ.-საკ. კომისიები და დელეგატების არჩევნები საქართველოს განათლების მუშაკთა რესპუბლიკანურ კონფერენციაზე.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. თვარელიძემ. მომხსენებელმა ნათლად დაახასიათა ჩვენი მიღწევები ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე, ჩვენი აღმშენებლობა, ფინანსიური და ეკონო-

მიური ზრდა და საერთაშორისო მდგომარეობა. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ განათლების მუშაკნი კვლავ ენერგიულ შრომას აწარმოებენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა განსამტკიცებლად და მისი საბოლოო გამარჯვებისათვის.

ტფილისის მაზრის სკოლების ქსელისა და მათი მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კვირკველია. მომხსენებელმა შედარებისათვის მოიყვანა ტფილისის მაზრის სკოლების ქსელი სხვადასხვა წლებში:

1914 წელში ტფილისის მაზრაში იყო—108 სკოლა.
1920 „ „ „ „—137 „
1926/27 „ „ „ „--626 „

მოსწავლეთა რაოდენობა შემდეგია:

1914 წ. სწავლობდა 6.214 მოსწავლე
1920 წ. სწავლობდა 4.179 მოსწავლე
1926/27 „ „ 15 419 „

მასწავლებელთა რიცხვი:

1914 წ.—209
1920 „ —137
1926/27 „ —626.

ტფილისის მაზრაში სახალხო განათლების საქმეზე წლიურად იხარჯება 1.300.028 მან.

როგორც მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, სკოლების ქსელი ტფილისის მაზრაში სწრაფი ტემპით იზრდება და ამნაირად ის ახლოა საყოველთაო და სავალდებულო სწავლის მიზნის განხორციელებისაგან.

გასულ წლებში მაზრის სკოლები შეჯგუფებული იყო რაიონების მიხედვით. რაიონში შემავალ სკოლებს რაიონის გამგე განაგებდა. ასეთი დაყოფა მიზანშეუწონელი გამოდგა, ვინაიდან გამგეები სკოლებს საკმაო ხელმძღვანელობას ვერ უწევდენ და გან. განყოფილებამ თანდათან შეამცირა რაიონული გამგეები და თითეულ სკოლას ცალკე გამგე ენიშნება. ამ ჟამად მაზრაში რაიონული გამგეები თითქმის ყველგან შეცვლილია ცალკე სკოლების გამგეებით.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეთოდიურ დახმარების გაწევის მიზნით მაზრის სხვადასხვა რაიონებში გან. განყოფილებამ მოაწყო საბაზო სკოლები. საბაზო სკოლების მოწყობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. თითეულ მათგანს უნდა ქონდეს კარგად მოწყობილი კაბინეტები, ბიბლიოთეკა და მომზადებული პედაგოგები. საბაზო სკოლების ირგვლივ შემოკრებილია ახლო მდებარე სოფლების სკოლები, მათთან ერთად ისინი ადგენენ სასწავლო გეგმას და აწარმოებენ სანიმუშო მუშაობას. საბაზო სკოლების სასწავლო გეგმა გან. განყოფ. მიერ შესწორებული და შევსებულია ისე, რომ ის ქალაქის სკოლების

გეგმას გაუთანასწორდეს. შეტანილია მასში სიმღერის, ფიზკულტურისა და სხვა ისეთი საგნები, რომლებსაც წინად სოფლის სკოლაში (ტფილისის მაზრაში) ადგილი არ ქონდა.

საკმაოდ მდიდარია აგრეთვე ამ სკოლების ბიბლიოთეკებიც, რომლებითაც ფართოდ სარგებლობენ მასწავლებლები რაიონის ფარგლებში.

საბაზო სკოლების მუშაობისა და მიღებულ გამოცდილებათა გამოყენების მიზნით, მასწავლებლებს ორ კვირაში ერთხელ ეძლევათ თავისუფალი დღე. ეს დღე მან თავის პედაგოგიურ კვალიფიკაციის ამაღლებას უნდა მოახმაროს. ასეთ დღეებში მასწავლებლები თავს იყრიან საბაზო სკოლებში, ეცნობიან იქაურ მუშაობასა და მეთოდებს, იმართება მოხსენებები პედაგოგიურ თემებზე, საუბრები და სხვა. ამნაირად საბაზო სკოლები დიდ დახმარებას უწევენ თავის რაიონის სკოლებს, რისთვისაც მათ, როგორც ვხედავთ, განსაკუთრებული მუშაობის წარმოებაც უხდებათ. ამ გარემოებამ გამოიწვია ამ სკოლებში მომუშავეთათვის ჯამაგირის გადიდებაც.

მასწავლებელთა გადამზადება, რომელიც სამოსწავლო წლის განმავლობაში საბაზო სკოლების საშუალებით სწარმოებს, მთავრდება ზაფხულობით მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსებით. კურსებზე უმთავრესად აქტიური მასწავლებლები იგზავნებიან, რომ შემდეგ მათ უფრო ადვილად შესძლონ თავის ცოდნისა და გამოცდილების ამხანაგებისათვის გაზიარება.

მასწავლებელთა შერჩევისა და დანიშვნის დროს გან. განყოფილება ცდილობს, რომ უმთავრესად ადგილობრივ სოფლებიდან გამოსული მასწავლებლები გაგზავნოს სკოლებში, რადგან შორეულ სოფლებიდან მოსული მასწავლებლობა უმეტეს შემთხვევაში ქალაქისაკენ მიისწრაფის და სოფელში დიდ ხანს არ რჩება.

რაც შეეხება მასწავლებელთა დატვირთვას, აქ საქმე სავსებით დამაკმაყოფილებელი ვერ არის. ჯერჯერობით ზოგიერთ სკოლებში კიდევ არის შემთხვევები, როდესაც ერთი მასწავლებელი ორ ჯგუფს ასწავლის. ეს უმთავრესად უბინობით არის გამოწვეული, თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთ შემთხვევებში მასწავლებელზე 30—35 მოწაფეზე მეტი არ მოდის (ორივე ჯგუფში).

გარდა თავის პირდაპირი მოვალეობისა, მასწავლებელი დატვირთულია ათასგვარი საზოგადოებრივი მუშაობით, რომელსაც უმთავრესად პოლიტგანი განაგებს. მასწავლებლობა ხალისით ეკიდება ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობას, მაგრამ ამ ნიადაგზე ბევრ გაუგებრობასაც აქვს ადგილი. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელს ავალებენ სრულიად მისთვის შეუფერებელ საქმეს, როგორიცაა, მაგალითად, თემალმასკომის ან სხვა რომელიმე ორგანოს ტეხნიკურ საქმეების (ოქმების დაწერა, მიმოწერა) შესრულება, ან სცენაზე თამაში მიუხედავად იმისა, ეხერხება მას ეს თუ არა. ხშირად ასეთ დავალებას იძულებით

ხასიათსაც აძლევენ, რაც ყოველად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ტფილისის მაზრის შვიდწლედების გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებად გარდაქმნა. მართალია ისინი ამ როლს მაინც თამაშობდენ, მაგრამ მაინც იყო საჭირო ზოგიერთი ცვლილებისა და გაუმჯობესების შეტანა. დღეს მაზრაში არ დარჩენილა არც ერთი შვიდწლედი ან ცხრაწლედი, გარდა ერთი ცხრაწლედისა (ისიც აგრონომიული განხრით), რომელიც გლეხთა ახალგაზრდობის სკოლად არ იყოს გადაკეთებული. ამნაირად, დაასკვნის მომხსენებელი, ტფილისის მაზრაში, რომელიც ერთობ ჩამორჩენილი იყო სკოლებით, იზრდება სკოლების ქსელიც და მაღლდება მათი თვისება და შინაარსი. მართალია, დეფექტებსაც აქვს ადგილი, მაგრამ სოფლის სკოლებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და იმედი უნდა ვიქონიოთ ტფილისის მაზრა ახლო ნომავალში სწავლა განათლების მხრივ არ ჩამორჩება საქართველოს სხვა დაწინაურებულ კუთხეებს.

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდენ დიდ მიღწევებს სოფლის განათლების მხრივ დაწინაურებაში და სკოლების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესებაში, მაგრამ მიუთითებდენ, რომ მეტი ყურადღება მიექცეს საბაზო სკოლებს, სკოლების შენობების დროზე შეკეთებას, მასწავლებელთა დანიშვნისა და გადაყვან-გადმოყვანის საკითხს, მასწავლებელთა დატვირთვას, ურთიერთობას პოლიტგანთან და სხვა.

საბაზო სკოლებთან აუცილებელია მოეწყოს ღამის გასათევი ბინა, ვინაიდან სოფლებიდან ჩამოსული მასწავლებლები იმავე დღეს უკანვე ვერ ბრუნდებიან და ამით მოუხერხებელი ხდება საბაზო სკოლებთან სათანადო კავშირის გაბმა.

სკოლების შენობების შეკეთებას იწყებენ ერთობ დაგვიანებით, ხშირად როდესაც საზაფხულო არდადეგები დამთავრებულია და სკოლაში მეცადინეობა უნდა განახლდეს. ეს გარემოება მთელი თვეობით სწყვეტს მეცადინეობას და აფერხებს მას.

მასწავლებელთა დანიშვნა და გადაყვან-გადმოყვანა უნდა ხდებოდეს კავშირის ც. გ.-სთან ან ადგილკომებთან შეთანხმებით. ადგილებზე უნდა ინიშნებოდენ მხოლოდ კავშირის უმუშევარი წევრები, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როდესაც მასწავლებლად ადგილობრივი მცხოვრები ინიშნება.

აუცილებელია ბოლო მოეღოს ერთი მასწავლებელის ორ ჯგუფთან მეცადინეობას და შემოღებულ იქნეს ჯგუფზე მასწავლებელი.

საჭიროა მიეთითოს სოფლის პოლიტგანებს, რომ მასწავლებელზე საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობის იძულებით დავალება ან ტეხნიკურ საქმეების შესრულების მოთხოვნა დაუშვებელია.

მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე უნდა იგზავნებოდნენ უფრო ნაკლებ მომზადებული და ახალგაზრდა მასწავლებლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის შეუძლებელი ხდება თავის კვალიფიკაციის გაუმჯობესება.

მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში კონფერენცია სრულიად დამაკმაყოფილებლად სცნობს გან. განყოფილების მუშაობას სოფლად, ხოლო მიუთითებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზემოჩამოთვლილ დეფექტების გამოსწორებას და მაზრის მასწავლებელთა ხელფასის ქალაქის მასწავლებელთა ხელფასთან გათანასწორებას.

შემდეგი საკითხი კონფერენციისა—მოხსენება აღბულაღის ადგილკომისა, ახასიათებს ამ უკანასკნელის მუშაობას გასულ წლის განმავლობაში. მოხსენებიდან სჩანს, რომ ადგილკომის მუშაობა, შედარებით წინანდელთან, გაუმჯობესებულია და ნორმალურ კალაპოტშია ჩამდგარი.

მოხსენებას ტფილისის მაზრის ადგილკომების რეორგანიზაციის შესახებ აკეთებს ამხ. პოლოსოვი. ის კონფერენციას დაწვრილებით აცნობს ადგილკომების რეორგანიზაციის პროექტს, რომელიც შემუშავებულია ჩვენი კავშირის სრულიად საკავშირო მე-VI-ე ყრილობის რეზოლიუციის თანახმად და რომელსაც საფუძვლად მაზრის ადმინისტრატიული დაყოფა უძევს. არსებული რაიადგილკომები ერთობ დიდ ტერიტორიას აერთიანებენ და განათლების მუშაკნი ხშირად სრულიად მოწყვეტილნი არიან ადგილკომს. წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს ადგილკომი დაუახლოვოს მასას, რისთვისაც ყველაზედ უფრო მოხერხებულია ყოველივე ცალკე თემში ცალკე პროფუჯრედი არსებობდეს. ამნაირად ტფილისის მაზრა დაყოფილი იქნება 31 პროფუჯრედად ნაცვლად 13-ისა. კონფერენცია კმაყოფილებით შეხვდა წარმოდგენილ პროექტს და სასურველად სცნო დაჩქარებით მისი გატარება.

ტფილისის მაზრის ძირითად პროფუჯრედების კულტმუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჭეიშვილი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ადგილკომებთან არსებული კულტკომისიები ერთობ მოისუსტებენ და ვერ იჩენენ აქტივობას. გასაკეთებელი კი მათ ერთობ ბევრი აქვთ და აუცილებელია ადგილკომებმა მეტი ყურადღება მიაქციონ კულტმუშაობას. საჭიროა მოძრავ ბიბლიოთეკების ფართოდ გამოყენება, ჟურნალ-გაზეთების ფართოდ გავრცელება, წრეების დაარსება და სხვა.

მომხსენებელს აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია გაერთიანებულ იქნეს გან. განყოფილების და ჩვენი კავშირის ბიბლიოთეკები მაზრაში, რაც გააძლიერებს მათ ეკონომიურ ბაზას და მეტ სამსახურს გაუწევენ განათლების მუშაკთ. მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იყო რეზოლიუცია.

სატარიფო-საეკონომიო დარგში ტფილისის მაზრის ადგილკომებისა და მათი შემფ.-საკ. კომისიების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გეგე-

ნავამ. მომხსენებელმა სხვა დადებით ხასიათის მუშაობასთან ერთად აღნიშნა მათი დეფექტები და შეცდომები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შემფ.-საკ. კომისიების მუშაობას.

დასასრულ კონფერენციამ საქართველოს გან. მუშაკთა რესპუბლიკანურ კონფერენციაზე დასასწრებლად აირჩია 3 დელეგატი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კონფერენცია ერთობ ფხიზელ და საქმიან ხასიათს ატარებდა. ადგილებიდან ჩამოსული ამხანაგები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ყველა საკითხებში და სათანადოდ აშუქებდენ მათ.

ხაშური. ა. წ. 3 ოქტომბერს შესდგა ხაშურის რაიონის განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ინდუსტ. სესხის რეალიზაცია;
2. ჟურნალ „განათლების მუშაკი"-ს გავრცელება;
3. კავშირში ახალი წევრების მიღება;

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ადგილობრივი ხაზინის წარმომადგენელმა ამხ. თანეიშვილმა. მან აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხსენებულ სესხს, როგორც საზოგადოებრივი ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. დასასრულ მოუწოდა განათლების მუშაკებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ობლიგაციების შეძენაში. ამის შემდეგ კრებამ აირჩია ყველა სკოლებიდან რწმუნებულები, რომელთაც დაევალათ ინდუსტ. სესხის ხელის მოწერის შეგროვება.

ეს ამხანაგები ენერგიულად მოქმედობენ, რასაც კარგი შედეგები მოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მასწავლებლობა მცირე ჯამაგირს იღებს, მაინც თავისი წვლილი შეაქვთ დიად საქმის სალაროში.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა განათ. მ. კ-რის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარემ, ამხ. გიორგი ქურდეველიძემ, რომელმაც აღნიშნა, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს კავშირის წევრთათვის ჟურნალის გამოცემის საკითხს. არ კმარა მარტო ის, დასძენს ამხანაგი, რომ ც. გამგეობამ გამოსცეს ჟურნალი, საჭირო არის ყველა კავშირის წევრებმა ვითანამშრომლოთ აღნიშნულ ჟურნალში და ხელი შევუწყოთ მის გავრცელებას. ამის შემდეგ საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც დაევალა სკოლების რწმუნებულებს ჟურნალის გავრცელება. ჯერჯერობით ნებაყოფლობით ჟურნალზე ხელი მოაწერა ორმოცდაათმა კაცმა. ხელის მოწერა კიდევ სწარმოებს.

ამის შემდეგ კავშირში იქმნენ მიღებულნი ახალი წევრები, რომელთაც შეუსრულდათ სამი თვე, რაც სამსახურში იმყოფებიან.

Harrateur.

საბურთალოს წიგნთსაცავ-სამკითხველო. ეს წიგნთსაცავ-სამკითხველო გაიხსნა 1924 წ.

მაშინ იყო 225 წიგნი. ყველა დაუკაზმავი და ნახევარზე მეტი გამოუსადეგარი ბროშურები. დღემდის წიგნების რიცხვი ავიდა 3000-დის რუსული და ქართული.

საბურთალო-ახალშენის მცხოვრებნი არიან სხვადასხვა ტომისა, მაგრამ წიგნების მოთხოვნილება კი არის მხოლოდ რუსულის და ქართულისა. რუსული წიგნებით სრულიად დაკმაყოფილებულნი არიან რუსები, მაგრამ ქართული წიგნები კი მოთხოვნილებასთან შედარებით ძალიან მცირეა. სასურველი იქნებოდა, ცოტა მეტი თანხა გაეღო პოლიტგანს ქართული ლიტერატურის და ჟურნალების შესაძენათ. მაშინ ქართული წიგნების მკითხველი ერთი ორად მოიმატებდა.

ე. მიქელაძე.


ასე არ შეიძლება.

ერთ ფაქტს, რომელიც მოითხოვს განათლების მუშაკის უფლების დაცვას, ადგილი ჰქონდა ახალქალაქის მაზრაში. ამ ზაფხულს ივნისის ბოლო რიცხვებში, გაუქმებულ იქნა სოფ. ბარალეთის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. სკოლას დათესილი ჰქონდა ბოსტანი და, რადგან სკოლა უფრო ადრე დაკეტილა, ვიდრე ბოსტანი ნაყოფს მოიცემდა, მოსავალი ვერ იქნა აკრეფილი და განაღდებული. საფიქრებელი იყო, რომ ახალქალაქის განათლების განყოფილება, რომელსაც ბიუჯეტით გათვალისწინებული ჰქონია 120 მან. შემოსავალი ბარალეთის ბოსტანის მოსავლის რეალიზაციიდან, სკოლის დაკეტვასთან ერთად ბოსტნის ზარალსაც შეურიგდებოდა. მაგრამ ასე არ მომხდარა: განათლების განყოფილებას გამოუნახავს ბოსტნიდან შემოსავლის მიღების უებარი საშუალება— შემოსავალი მოსავლის აუკრეფავად: სკოლის გამგისათვის ანგარიშის გასწორების დროს დაუკავებია 120 მანეთი, „ბოსტნის დამუშავებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად“. განათლების განყოფილებას მტკიცედ დაუცავს თავისი ბიუჯეტი და უმეტნაკლებოდ შეუსრულებია მისი საშემოსავლო ნაწილი.... სკოლის გამგის ბიუჯეტის საგასავლოდ ნაწილის ხარჯზე. მაგრამ მას დავიწყებია, რომ შრომის კანონებსაც დაცვა უნდა.

განათლების მუშაკის ასეთი პასუხისმგებლობა ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა ზომების მიღება, რათა ბარალეთის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის ყოფილ გამგეს დაუბრუნდეს განათლების განყოფილების მიერ დაჭერილი 120 მანეთი.

ქ.

მ. გ. ჯანაშვილი*)



„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, ამბობს შოთა რუსთაველი და მეც ვმოკლე-სიტყვაობ.

„დავიბადე 14 მარტს, 1855 წელს საინგილოს სოფელ კახში. ცამეტ წლის ასაკობამდე შველოდი დედ-მამას სოფლის საქმეში; ზურგით შეშასაც-კი ვზიდავდი დიდ-გუბის მთიდან დედისთვის სანათად. მამა ჩემი ღარიბი გლეხი იყო.

„სწავლა დავიწყე კახის სამრევლო სკოლაში 1865 წელს, შემდეგ განვაგრძე ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა მომერგო ტფილ. სასულიერო სემინარიაში. მაგრამ მე სამღვდელოდ არ ვიყავ დაბადებული. 1874—5 წლებში ტფილისს ჩამოვიდა ეგნატე იოსელიანი და ჩამოიტანა სკივრებით აღკრძალული ლიტერატურა. ამ ლიტერატურამ შეგვბორკა რამდენიმე სემინარიელი. ბლომა მისი ნაწილი მივაწოდეთ კახში ივ. როსტომაშვილსაც. განსაკუთრებით გვიზიდავდა „ოტჩეპენცი“. მთავრობამ ჭკუნით იგრძნო, რაშიაც იყო საქმე, და გამორიცხვა დამიპირა. ჟანდარმმაც პასუხი მოგვთხოვა მე, დ. ჯანაშვილს და როსტომაშვილს, რომელიც „კარეტით“ ტფილისის ციხეში ჩამოიყვანეს. ბოლოს გამოველ სემინარიიდან „ოთხით“ ყოფა-

*) ზემოდ მოყვანილი ცნობები პატივცემული მ. ჯანაშვილის შესახებ ამოღებულია მის ხელნაწერ წიგნიდან, რომელიც შეუდგენია 1926 წელს და რომელსაც ეწოდება „ჩემი ამბავედი და ჩემი ნაწერები“.

ჩვენ მოგვყავს აქ მცირე ნაწილი ამ საინტერესო ამბავედისა და ფიქრობთ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ეს დაუღალავი ადამიანი, რომელსაც 40 წელზე მეტი მასწავლებლად გაუტარებია და თანაც ამდენი რამ გაუკეთებია სრულიად უანგაროდ—წამოყენებულ იქნეს სათანადო ორგანიზაციის მიერ შრომის გმირებში ჩასარიცხავად.

ქცევაში, ჩავაბარე გამოცდები გიმნაზიაში და შევუდექი საპედაგოგიო და სამწერლობო საქმეს.

საპედაგოგიო შრომა დავიწყე ქუთაისში, საცა ვმსახურობდი ჯერ მინა პეტრიაშვილის პანსიონის გამგეთ და მერე იქაურ პროგიმნაზიაში. 1878 წელს გამოვეთხოვე ქუთაისს და დავბინავდი ტფილისში. აქ ვმასწავლებლობდი სასულიერო სასწავლებელში, მერე რეალსა და წმ. ნინოს სასწავლებლებში, ქალთა მეხუთე და ვაჟთა მე-5 გიმნაზიებში, მიწის მზომელთა სასწავლებელში და ბოლოს 1920 წ. ქართული ენის ლექტორად პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში. თან 1895 წლიდან განათლების ოლქში ვითვლებოდი საგამოცდო კომიტეტის წევრად—ეგზამენატორად და ამ თანამდებობას ვასრულებდი „ოლქის“ მოშლამდე დიდი რევოლუციის—მიერ.

1898 წლიდან მებარა ცალკე ნაწილი:—სიონთან დ. ბაქრაძის თაოსნობით დაარსებული სიძველეთ—საცავი, რომელიც ჯერ იყო პატარა და მერე თანდათან გაიზარდა და გამდიდრდა მრავალ სიგელ-გუჯრებითა, ხელნაწერებითა და სხ. ნივთებით. გროვდებოდა ეტრადზე (ტყავზე) ნაწერი წიგნები, ხშირად უნიკუმები, უძვირფასესი და იშვიათი. 1914 წელს მუზეუმი დაათვალიერა მსოფლიო მოგზაურმა ვიაჩესლავ ვრადიმ და მას უძღვნა სიტყვები (გაზეთი Кавказ, 1914, № 257): „სიონის სიძველეთ—საცავის 1040 ხელნაწერის აღწერილობა[1]) წარმოადგენს უძვირფასეს შრომას, რომელიც ამ მუზეუმს შეჰმატებს ევროპიულ ცოდნის საერთო საგანძურს (приобщает к обще-европейской урис знания“). ბოლოს, 1920 წელს ეს მილიარდებითაც ძნელად შესაფასებელი ეროვნული დაწესებულება—მუზეუმი გადაეცა სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც მის გამგედ დანიშნა პროფეს. კ. კეკელიძე და მე—მის ასისტენტად.

„ჩემი საწერლო ასპარეზზე გამოსვლა იწყება 1870 წელს დღიურების წერით. მას აქეთ ჩემი ნაკალმარია 793 თხუზულება, მათ შორის: ა) დაბეჭდილები ჟურნალ-გაზეთებსა და სამეცნიერო გამოცემებში 662, ბ) ცალკე წიგნებად 71 და ვ) დაუბეჭდავები 60.

შინარსის მხრივ მთელი ამ მწერლობის საგანია ისტორია, მეურნეობა, ენათმეცნიერება, მწერლობა, ნუმიზმატიკა, ბიბლიოლოგია, ეთნოგრაფია, კრიტიკა-ბიბლიოგრაფია (მოკლე სია 1895 წლამდე დაბეჭდილ ნაწერებისა იხ. 1845 წლის „Кавказский календарь“).

ჩვენი „საქართველოს ისტორია“ იყო **პირველი** სახელმძღვანელო ამ დარგში. მის ავ-კარგობის შესახებ ჩვენ გვაქვს აზრი ი. მეუნარგიასი, ი. გოგებაშვილისა, ი. ღულაძესი, ვ. ვ. ორბელიანისა.

დიალექტოლოგიაში შეგვისრულებია შრომანი:

[1]) ამ აღწერილობაში შედის აგრეთვე თ. ჟორდანიას შრომაც—2 წიგნი ხელნაწერთა აღწერილობისა.

ა) ქართველური ფონეტიკა;

ბ) ქართული გრამატიკა (შინაარსით—უფრო ქართველური);

გ) ქართული ლექსიკონი (104,000 სიტყვა);

დ) შოთას ლექსიკონი (7,000 სიტყვა);

ე) პეტრიწის ლექსიკონი (3,900 სიტ.);

ვ) ქართული სიტყვარი (12,300 სიტ.. უფრო ხალხური);

ზ) ქართველური ლექსიკონი (4,000 სიტყვა);

ც) სახისმეტყველი და მისი ლექსიკონი (1,000 ს.);

თ) ინგილოური ლექსიკონი (1,100 ს.);

ი) Грузинский язык и его идиалы (შეიძინა სამეცნიერო აკადემიამ);

ია) ქართველები და ქართველური ენა. (შინაარსი:

I. ქართველური ზნა საზოგადოდ და ქართველურ მეტყველების სხვა ნაწილები, II. გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული, საგვარეულო, სათემო და მითოლოგიური სახელები, III. საქართველოს ისტორია აზომდე და IV. ქალდური ლურსმური ძეგლწერანი).

რუსულ ენაზე ჩემ-მიერ შესრულებულია 180 თხზულება, მათ შორის:

ა) К материалам по истории и древностям Грузии и России (Тифлис. 1912 წ.

ბ) Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе и Росии (Тифлис, 1897 წ.).

გ) География Грузии (ვახუშტისა, ჩემი თარგმანი შენიშვნებითა და ვრცელი წინასიტყვაობით. Тифлис, 1904 წ. გამოც. რუს. გეოგრაფ. საზოგადოება.)

დ) Царица Тамара (Тифл., 1900 წ.).

ე) История Осетинскаго народа.

ვ) История Адирбейжана (ისტორ. წერილების კრებული).

ზ) Абхазия и Абхазцы (გამოც. გეოგრ. საზოგად.).

ც) Тигран I Эруандович (დაიბ. Тифл. листок).

თ) Грузины и Армяне на российской службе .

ი) Историко-археологический очерк Гурии, Чороxскаго бассейна и Чанетии (დაიბეჭდა კრებულში „Батум и его окрестности“ 1906 წ.).

ია) Кавказские языки (ჩვენ-მივრ შეკრებილი მასალა მთლიანად, თუმცა მრავალ კორექტორულ შეცდომებით, შევიდა ერკერტის გამოცემაში Die Sprachen des Kaukaseshen Stammes“ (Wien, 1895).

ჩემი „Абхазия и Абхазцы“, დაწერილი პეტრე ჭარაიას და სხვა ავტორების შრომათა მიხედვით, ცნობილმა ზეიდლეცმა გადათარგმნა გერმანულად და დაბეჭდა ჟურნალში „Globus“ (1894, № 2,3.4,5).

ჩემ-მიერ გამოცემული „ზარზმელის ცხოვრება“ პეტერსმა გადათარგმნა ლათინურად და დაბეჭდა. ჩემ-მიერვე რუსულად ნათარგმნი „ალღუზიანი“ გ. ბაევმა გამოსცა ბერლინში ცალკე წიგნად.

ადრითგანვე გამოვდიოდი მოხსენებით საარქეოლოგიო, საგეოგრაფიო და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა კრებებზე, და მათ წევრად ვითვლებოდი; მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებამ-კი ერთხმად ამირჩია თავის კორეს-პონდენტ-წევრად და თავის საიუბილეო გამოცემაში მოათავსა თვით მოკლე სიაც ჩემი ნაწერებისა. მისთვისვე მის-მიერ შეკვეთილი ჩემ-მიერ გადაწერილი ქსნის-სახარება წინასიტყვაობით წარმოადგენს 800 კაბადონივან ხელნაწერს.

„ჩემს ნაშრომებს ყურადღებით ეპყრობოდნენ იგეთი მეცნიერები, ვით ნიკო მარრი, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, შუხარდტი, ავრელიო პალმიერი, პროფ. ივანოვი, ლოპატინსკი, პრ. უვაროვისა და სხვანი. 1906 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. მორფილმა „Journal royale Asiatic Society“-ში დაბეჭდა ქართული მწერლობის განხილვა [1]) და მასში პირად ჩვენ გვიწოდა სიტყვები:

„დაუღალავი არქეოლოგი მ. ჯანიშვილი, რომელმაც თავის შრომით დიდი სამსახური გაუწია საქართველოს... ამგვარად ღირსეული გამგე მუზეუმისა დასავლეთის მეცნიერების დიდად საბედნიეროდ იკვლევდა თავის ქვეყნის ისტორიას, ეტნოლოგიას და ლიტერატურას. იგი გვესაუბრებოდა ჩვენ საქართველოს ეკლესიასა და თვის გვარ-ტომთა ყოფა-ცხოვრებაზე. მის უკანასკნელ შრომათა შორის არის მოკლე მოთხრობა ქართულ ლიტერატურის შესახებ. ვუსურვებთ ბ. ჯანაშვილს ყოველს წარმატებას მისს სასარგებლო სამეცნიერო შრომაში“.

„ჩვენი საერთო მოქალაქეობა დაიფასა ტფილისის ქალაქის აღმასკომმაც, რომელმაც ქალაქის ერთ ქუჩას უწოდა ჩვენი სახელი.

„აწ უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში ვსწავლობ ძველი დროის კარაბადინებს და მათგან ამოვკრებ სალექსიკონო მასალას.

„ქონებრივად მე მუდამ ხელმოკლეობას განვიცდიდი. სიმშილობის წლებში დახმარება აღმომიჩინა სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ – ფილიპე მახარაძემ, დავით კანდელაკმა და „სობესმა“. მე ამ ამაგს სიკვდილამდე ვერ დავიწყებ. მიუხედავად ხელმოკლეობისა, შევძელი შვილები და ობოლი ძმისწული აღმეზარდა უმაღლეს სასწავლებლებში, თან დამებეჭდა 71 წიგნი, დახმარება აღმომეჩინა დედ-მამისა და ბევრ უქონელისათვის. ასევე დღესაც ჩემი შედარებით მცირე გასამრჯელოდან ნაწილს ყოველწლივ გადავდებ და მით საინგილოს გლეხებს გავუწერ თერთმეტ ქართულ გაზეთს“.

„არც კაცი ვარგა, იყოს სოფელში და სოფელს არარა არგოს“, ბრძანებს ნ. ბარათაშვილი. მეც, ვფიქრობ, „უსარგებლოდ სოფლისა“ არ გავატარე ჩემი 73 წლის მანძილი“.

მ. ჯანაშვილი.

---

[1]) მთელი ეს წერილი ჩვენის წინადადებით ინგლისურიდან რუსულად თარგმნა ბოგდან ანტ. ციოგლინსკიმ.

აკაკი კალაძე

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგია და მისი სწავლების მეთოდი

(საკითხის დასმის წესით)

„საზოგადოებათმეცნიერების სწავლება არ გვაკმაყოფილებს არც 4-წლედში და არც 7-წლედში, მ. ს უმეტეს შემთხვევაში საagitაციო-პოლიტიკური ხასიათი აქვს, ზერელა. თანადროულობა სკოლაში ბევრმა ისე გაიგო თითქოს თანადროულობას არ სჭირდებოდეს ახსნა ისტორიული ფაქტებით, რომელნიც განმარტავენ მას, ნათელყოფენ, რომ მეურნეობის და საზოგადოების ერთ ფორმებს მეორე ფორმები სცვლის და სხვ“...

მარიამ ორახელაშვილი.

„კომუნისტი“ № 31—1927 წ.

პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც სამოსწავლო დისციპლინას, ჩვენს სკოლებში დიდი ხნის ისტორია არ აქვს. ამის გამო სრულიად ბუნებრივია, რომ ამ საგნის სწავლება ჯერ კიდევ არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდეს. თუ სხვა სამოსწავლო დისციპლინებს ათეულ წლების გამოცდილება აქვთ, პოლიტიკური ეკონომია მხოლოდ ახლა ეძიებს თავის სწავლების მეთოდს. თუ სხვა დარგებში მოიპოება ყველა ტიპის სკოლებისათვის დაწერილი სახელმძღვანელოები, რომლებიც საგნის შინაარსის სწორად გადმოცემისა და მისი სწავლების მეთოდის თვალსაზრისით გამართლებულია, პოლიტიკურ ეკონომიაში, არა თუ თვითეული თავის მოსაზრებით ხელმძღვანელობს, მაგ. თანადროულობის ელემენტების გამოყენებაში (ე. ი. სწავლების მეთოდით), არამედ არ მოგვეპოება ხეირიანად დაწერილი სახელმძღვანელოები, თუ გინდ რუსულ ენაზედაც კი. პოლიტიკურ ეკონომიის შესახებ დაბეჭდილ უამრავ სახელმძღვანელოთა შორის, რომლებიც დღევანდლამდე გამოცემული არის რუსეთში, მხოლოდ დაშ-

კოვსკის—„პოლიტ. ეკონომიის კონსპექტიური კურსი“[1]) შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს და ისიც დაწერილია უნივერსიტეტში მომუშავეთათვის.

ამ დარგში გამოცემულ მრავალ სახელმძღვანელოთა ნაკლს ის გარემოება წარმოადგენს, რომ მათი ავტორები, უმეტეს შემთხვევაში, პოლიტ. ეკონომიას დათვურ სამსახურს უწევენ – ნაცვლად პოპულიარიზაციისა პოლიტ. ეკონ. ვულგარიზაციას ახდენენ. პირველის მიზანია მეცნიერება მასებისათვის ადვილად გასაგები გახადოს, ისე რომ არ მოხდეს მისი თეორიული სახის დამახინჯება, რომ არ დაირღვეს მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები. ვულგარიზაცია კი გვერდს უხვევს (გადაჭარბებულ პოპულიარიზაციისათვის) მეთოდოლოგიურ წინააღმდეგობებს და ცდილობს როგორმე რთული მოვლენა წვრილმან ნაწილებად დაახურდავოს.

პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა ჩვენს სკოლებში განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ჯერ კიდევ ყველასათვის არაა ნათელი, თუ რა შეადგენს მისი კვლევა-ძიების ობიექტს ერთის მხრივ, მეორე—ჯერ კიდევ პოლიტ. ეკონომიის ყველა მასწავლებელთათვის გარკვეული არაა, თუ რაგვარი მეთოდით უნდა შევასწავლოთ ეს საგანი ჩვენს ახალგაზრდობას, როგორ უნდა ვისარგებლოთ თანადროულობის ელემენტებით, რა საკითხებს უნდა იხილავდეს პოლიტ. ეკონომია ჩვენს პირობებში და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური ეკონომიის სწავლების სიძნელე თვით ამ საგანშია ჩამარხული. პოლიტიკური ეკონომია უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე დისციპლინა, თეორიული ხასიათისაა, რომლის შეთვისება გარეშე აბსტრაქტიული აზროვნებისა შეუძლებელია. როგორც ვიცით, პოლიტიკური ეკონომია სწავლობს იმ ძალებს, რომლებიც მართავენ კაპიტალისტური წარმოებასა და გაცვლას და აგრეთვე იმ კანონებს, რომელთა მიხედვით სწარმოებს ამ ძალების გამოყენება. თავისთავად კი ეს კანონები სამეურნეო ცხოვრების ზედაპირზედ კი არ იმყოფება, არამედ ღრმად დაფარულია თავის კონკრეტი გამოხატულების ქვეშ. ამიტომ აქ სამეურნეო ცხოვრების, თუ გინდ ფოტოგრაფიული სისწორითაც კი, მომხდარი აღწერითაც შეუძლებელია ეს კანონები აღმოჩენილი იქნას. ამ გზით შესაძლებელია მივიღოთ კაპიტალისტური საზოგადოების, თუ გნებავთ, სრული სურათი, მაგრამ ამ გზით ჩვენ ვერ შევსძლებთ შევიცნოთ ამ საზოგადოების მექანიზმი მთლიანად ან და გავერკვეთ მის თვითეულ ცალკე ელემენტებში, რომლებიც ერთი მეორესთან მიზეზობრივ ურთიერთობაში იმყოფება. ყოველივე ამისათვის აუცილებელია პოლიტ. ეკონომ. შესასწავლ საგანს აზროვნების აბსტრაქტიული მეთოდით მიუდგეთ, რომლითაც შესამჩნევად ადვილდება კაპიტალისტური მეურნეობის თეორიული გაგება.

[1]) დაშკოვსკის—„პოლიტ. ეკონ. კონსპ. კურსი“ ამ ჟამად ითარგმნება ქართულად. ა. კ.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტ. ეკონომია აბსტრაქტიული მეცნიერებაა, იგი მაინც არაა მოწყვეტილი ცხოვრების სინამდვილეს. აქ აბსტრაქცია საშუალებაა კონკრეტი კაპიტალისტური სინამდვილის ასახვისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური მეურნეობა მოუწესრიგებელი, ანარქიული მეურნეობაა, მას მაინც მართავს სტიქიური ძალები, რომელნიც მოქმედობენ ერთგვარის გეგმიანობით, ყველა ეს სტიქიური ძალები წარმოშობს საერთო ხასიათის კანონებს, რომელსაც შემდეგ ემორჩილება თვითეული მათგანი და ყველა ეს ძალები ერთად ქმნის კაპიტალისტური მეურნეობის ერთიან მექანიზმს. პოლიტიკური ეკონომიის უმთავრეს მიზანს სწორედ ამ მექანიზმის შესწავლა შეადგენს. ამრიგად, პოლიტ. ეკონომია შესდგება არა მექანიკურად შეერთებულ პრობლემებისაგან, არამედ იგი არის ერთი მთლიანი სისტემა, რომელშიაც გამოხატულია კაპიტალისტური საზოგადოების მთლიანი ორგანიზმი. ასეთია მოკლედ პოლიტ. ეკონომია, რომლის შესწავლა გაძნელებულია ჩვენს სკოლებში, რადგან ჩვენი ახალგაზრდობის უმრავლესობას ჯერ კიდევ არ აქვს განვითარებული აბსტრაქტული აზროვნება.

პოლიტიკ. ეკონომიის სწავლების ამოცანა, მისი შინაარსი და მასზედ მუშაობის მეთოდი განისაზღვრება ერთის მხრივ თვით პოლიტ. ეკონომიის შინაარსით და მისი მეთოდოლოგიით, ხოლო მეორეს მხრივ იმ პრაქტიკული ამოცანებით, რომელსაც ამ საგნის შესწავლას მიზნად უსახავენ.

სამწუხაროდ, ბევრისათვის არა თუ ჩვენში, სადაც ჯერ კიდევ პოლიტიკური ეკონომიის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების გარკვევისათვის თავს არვინ იწუხებს, არამედ რუსეთშიაც კი, ეს საკითხები ყველას ერთგვარად არ ესმით.

ეს სჩანს თუ გინდ იქედან, რომ ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვის მიერ კომუნისტურ აკადემიაში 1925 წელს გაკეთებულმა მოხსენებამ პოლიტიკური ეკონომიის მეთოდისა და საგნის შესახებ, ნათლად გამოააშკარავა, თუ რა რიგ არა ერთნაირად ესმით ეს საკითხები თვით მარქსისტთა წრეში და ამ მეტის-მეტად ღრმა და შინაარსიანმა დისკუსიამ ბევრი აიძულა ერთხელ კიდევ გადაემუშავებინა ის საკითხები, რომლებიც ნათელი უნდა ყოფილიყო იმ თავითვე ყველა მარქსისტისათვის.

უდავოა, რომ ამ საგნის სწავლების დროს ჩვენ საქმე გვექნება, როგორც მისი შინაარსის, ისე მისი მეთოდოლოგიის დამახინჯების ფაქტებთან. ამავე დროს, თუ კი ჩვენ გვსურს, რომ პოლიტიკური ეკონომიის სწავლება ჩვენში მიმდინარეობდეს მარქსისტული გაგებით, საჭიროა მარქსისტული თვალსაზრისი დაცული იქნას არა მარტო მისი შინაარსის ან და მისი ცალკე დებულებათა ახსნის დროს, არამედ მთლიანად, პოლიტიკური ეკონომიის მთელი სისტემა, აგებული უნდა იყოს მარქსისტულად, ხოლო ამ საკითხის უფრო ნათლად გა-

რკვევისათვის საჭიროა მოკლე ექსკურსია მოვახდინოთ მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიის მეთოდოლოგიაში, რომლის სწორი შეთვისება ხელს შეუწყობს ჩვენში ამ საგნის სწავლების გაჯანსაღებას.

მეთოდი, რომლითაც მარქსი სარგებლობს პოლიტიკურ ეკონომიაში დიალექტიური მეთოდია. ამ მეთოდის შინაარსი, როგორც ვიცით, იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები აღებულია მის მუდმივ მოძრაობაში, რომელიც შეეფარდება და გამოხატავს თვით ბურჟუაზიულ საზოგადოებას.

მარქსი ეკონომიურ მოვლენათა კანონებს სწავლობს ისევე, როგორც უნდა შეისწავლოს თავისი საგანი ფიზიკოს-ექსპერიმენტატორმა. თეორეტიკოს-ეკონომისტმა უნდა შესძლოს აბსტრაქტულად, თეორიულად განაკალკეოს მოვლენები ერთი მეორესაგან. „კაპიტალის“ I ტომის წინასიტყვაობაში მარქსი სწერს: „ფიზიკოსი უკვირდება ბუნების პროცეს ან იქ, სადაც ეს პროცესი სჩანს ყველაზედ უფრო ნათელ ფორმაში და სადაც იგი ყველაზედ ნაკლებადაა დაჩრდილული გარეშე მოვლენებით, ანდა იგი აწარმოებს ცდებს ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის მიმდინარეობას თავისი წმინდა სახით. ამ შრომაში მე მიზნად მაქვს შევისწავლო კაპიტალისტური ნაწარმოებისა და განაწილების წესები. ამ მხრივ კლასიკურ ქვეყნად ჯერჯერობით (დაწერილი 1867 წ.) ინგლისი ითვლება და უმთავრესად ამიტომ ინგლისიდან ვიღებ მე ილიუსტრაციებს ჩემი თეორიული დებულებებისათვისო“.

მაგრამ, რადგან საზოგადოებრივ-ეკონომიურ მოვლენებზედ დაკვირვება მათი წმინდა სახით შეუძლებელია, ხოლო ექსპერიმენტალური მეთოდი კი პოლიტიკური ეკონომიისათვის გამოუსადეგია, დაგვრჩენია ერთად-ერთი გამოსავალი—ეს არის საზოგადოებრივ-ეკონომიურ მოვლენათა აბსტრაქტული მეთოდით შესწავლა რომელსაც მივყევართ მარტივ კატეგორიებიდან ცოცხალ კონკრეტ მთლიანობასთან. „მხოლოდ მეცნიერული აბსტრაქცია, სწერს ამხ. ბუხარინი, ანაწილებს ერთიან ცხოვრებას ნაწილებად, ხელოვნურად გამოყოფს მოვლენათა სხვადასხვა რიგებს და აჯგუფებს მათ გარკვეულ ნიშნის მიხედვით“ [1]) მარქსიც სწორედ ასევე იქცევა. იგი გამოჰყოფს ცალკე საქონლის კაპიტალისტურ მოვლენებს სხვაგვარ საზოგადოებრივ ფორმაციებიდან, თუმცა ორთავე სინამდვილეში წარმოდგენილია, როგორც ერთი მთელის ნაწილები. აქ ნათლად სჩანს, თუ რატომ ხმარობს მარქსი აბსტრაქტულ მეთოდს, რომელიც კაპიტალიზმის დიალექტიური შესწავლისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს.

აბსტრაქციის საშუალებით ჩვენ ადვილად გამოვყოფთ ჩვენს შესასწავლ საგანს სხვა მონათესავე მოვლენებისაგან, რომელთა შესწავლა ამ ჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. მაგრამ აბსტრაქციით სარგებლობას აქვს მეორე და-

[1]) იხ. П. Бухарин—„Политическая экономпа рантье“ გვ. 13.

დებითი თვისებაც, სახელდობრ ის, რომ აბსტრაქციით ჩვენ ავდივართ უმარტივეს კატეგორიებიდან უაღრესად გართულებულ კატეგორიებამდე და ასეთი გზით ჩვენთვის ნათელი ხდება ფორმათა განვითარების დიალექტიური პროცესი.

ჩვენში სიტყვა „აბსტრაქცია“ წარმოდგენილი აქვთ როგორც განყენება და ესმით, როგორც მოწყვეტა კონკრეტ სინამდვილისაგან. სინამდვილეში კი, პირიქით, აბსტრაქცია არა თუ კონკრეტობიდან დაცილებას არ მოითხოვს, არამედ არც კი შეიძლება ის წარმოვიდგინოთ ამ კონკრეტობასთან კავშირის გარეშე. აბსტრაქცია არის კონკრეტობის განზოგადოება, მისი უშუალო გამოხატულება თვით იგი ამ უკანასკნელის ნაყოფია. არა კონკრეტობაა აბსტრაქციის შედეგი, არამედ პირიქით თვით აბსტრაქციაა კონკრეტობის ნაყოფი. კონკრეტობის გარეშე წარმოუდგენელია აბსტრაქცია. აბსტრაქცია არსებობს მხოლოდ კონკრეტობაში. [2])

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ეკონომია აბსტრაქტული მეცნიერებაა, იგი არ შეიძლება მოწყვეტილ იქმნას ცხოვრების სინამდვილისაგან. თავისთავად პოლიტ. ეკონომიის არსებობა, როგორც გარკვეული მეცნიერების, მხოლოდ მაშინ და იმდენად იქნება გამართლებული, თუ იგი დარჩება კონკრეტი კაპიტალისტური სინამდვილის ამხსნელი, კონკრეტი სინამდვილის გამომხატველი.

ხოლო ამ რთული სინამდვილის შესაცნობად მარქსს, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროდ მიაჩნია თავისი მეცნიერული ანალიზი წარმართოს აბსტრაქტული მეთოდით. აი რას სწერს მარქსი თავის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავალში“: „აბსტრაქციიდან კონკრეტობამდე მისვლის მეთოდი, ეს მხოლოდ საშუალებაა, რომლის დახმარებით აზროვნება ერკვევა კონკრეტობაში, აღადგენს მას სულიერად, როგორც კონკრეტობას“.

„კონკრეტ მოვლენას, თავისთავად, მრავალგვარი განმარტება აქვს და არსებითად ყოველი კონკრეტობა მრავალგვაროვნების მთლიანობას წარმოადგენს. და თუ ასეთ შემთხვევაში გამოყენებული არ იქნება აბსტრაქტული მეთოდი, რომლის საშუალებით წინასწარ ხდება მრავალგვარ განმარტებათა დამტევი კონკრეტ მოვლენის ცალკე მხარეთა ანალიზი, ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კონკრეტობის წარმოდგენა და გვექნებოდა მხოლოდ ქაოტიური წარმოდგენა მთელზედ“.

აქედან ნათელია მარქსისათვის აბსტრაქციის მნიშვნელობა. აბსტრაქციით იგი კონკრეტობას შეიცნობს ხოლო ყოველი აბსტრაქციის აზრი და მიზანია კონკრეტობის გაგება. საერთოდ აბსტრაქციას თავის გამართლება მაშინ და

[2]) იხ. А. Кон „К методике препод. полит. экон.“. Сборник по вопросам парт. просвещения 1927 წ. გვ. 80.

იმდენად აქვს, როცა მისით ხდება კონკრეტობის შეცნობა. მარქსის ხელში აბსტრაქცია საშუალებაა კონკრეტობასთან მისასვლელად.

მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში აბსტრაქცია მეთოდის როლს ასრულებს, კონკრეტობა-კი მიზნისას, პირველი საშუალებაა მეორეს მისაღწევად.

მარქსი აზროვნების ასეთი მეთოდით ადვილად ახერხებს გარკვეული ურთიერთობა დაამყაროს კონკრეტობისა და აბსტრაქციის შორის, რითაც იგი აადვილებს მოვლენის შინაარსსა და მის ფორმის შორის წინააღმდეგობის გარკვევას. მაგრამ აქ მარტო აბსტრაქცია ისევე უძლურია დაგვაკმაყოფილოს, როგორც უძლურია ამ მხრივ ცალკე აღებული კონკრეტობა. მარტო აბსტრაქციით ვერ გავერკვევით მოვლენის ფორმაში და მარტო კონკრეტობით ვერ შევიცნობთ მოვლენის შინაგან რაობას. რამდენად თეორიული ანალიზის პროცესში აბსტრაქციიდან კონკრეტობამდე ავალთ, მით უფრო ნათელი გახდება ფორმისა და შინაარსის წინააღმდეგობა. აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ. მარქსის ცნობიერებაში მეცნიერების უმთავრესი ამოცანა, მართალია, მოვლენის შინაარსის შეცნობაში გამოიხატება, რომლის დროს მკვლევარის მახვილმა თვალმა საგნის ფორმის მიღმა უნდა ჩაიხედოს, დაამყაროს და შეიცნოს ის კანონზომიერებანი, რომლებიც სამეურნეო მოვლენებს მართავენ, მიუხედავად ამისა მარქსი სათანადო ყურადღებით ეპყრობოდა და დეტალურად სწავლობდა მოვლენის ფორმასაც, რადგან ყოველ გარკვეულ ფორმას გარკვეული მიზეზის არსებობა იწვევს.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომის შემდეგი დამახასიათებელ მეთოდოლოგიურ პრინციპს ობიექტივიზმი წარმოადგენს. ამ პრინციპის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას ენიჭება პრიმატი პიროვნების მიმართ. ამ პრინციპის თანახმად ეკონომიური მოვლენები განხილული უნდა იქნას არა როგორც ამა თუ იმ სამეურნეო სუბიექტის სუბიექტურ-ინდივიდუალური ფსიქიური განცდა, არამედ ეკონ. მოვლენას იხილავენ, როგორც გაობიექტიურებულ ურთიერთობას, რომელიც წარმოიშვა ინდივიდუალურ ნებათა დაჯახების პროცესში, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა, იგი სტიქიურად წარმოშობილი კანონზომიერებაა.

ეკონომიური ანალიზი ასეთ შემთხვევაში ხდება ფსიქიური წყობის მოვლენებისაგან ყოველგვარ კავშირის გარეშე.

მარქსი ყოველთვის გამოდის გარკვეულ ეკონომიურ ფაქტებისაგან, გარკვეულ ეკონომიურ ფორმაციისაგან, რომელთა ანალიზის შემდეგ მას გამოჰყავს ბუნებრივ კანონების მსგავსად მომქმედი ეკონომიური კანონები.

შეცდომა იქნებოდა მარქსი აქ ისე ყოფილიყო გაგებული, თითქოს იგი საერთოდ უარყოფდეს სუბიექტურ მომენტებს. მარქსისათვის ეს მომენტები არ წარმოადგენს გამოსავალ წერტილს თავის თეორიული ანალიზის დროს. მარქსი ათასჯერ მართალია, როცა კაპიტალისტურ ეკონომიკას კაპიტალისტურ წარმო-

ების აგენტთა წარმოდგენებიდან კი არ დაასკვნის, არამედ, პირიქით, ეს უკანასკნელი მას მიაჩნია პირველის შედეგად. მიუხედავათ მარქსის კერძო პირთა ნებისა და სურვილისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულებისა ეკონომიურ მოვლენათა ახსნის დროს, იგი უფრო უკედ ვიდრე სხვა რომელიმე ეკონომისტი, სწორად ხსნის თვითეულ სამეურნეო აგენტის ნებისა და სურვილების წარმოშობ მიზეზს.

მარქსისათვის შემდეგი გამოსავალი ღეთოდოლოგიური მომენტი წარმოებისათვის პრიმატის მინიჭებაში მდგომარეობს. მარქსისათვის წარმოების იდეია არის ყოველგვარი ეკონომიური ხასათის კვლევა-ძიების საფუძველი. ყოველგვარი ეკონომიური ფაქტი შესაძლებელია დაყვანილი იქნას სამრეწველო მომენტამდე, როგორც მისი პირველადი საფუძველი. ამიტომ ამა თუ იმ ხალხის ეკონომიური სისტემის გაგება მისი განვითარების ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში ნიშნავს გაიგო უპირველეს ყოვლისა ის საწარმოო ურთიერთობანი, რომელიც არსებობს ამ საზოგადოებაში აღებულ პერიოდში. ამრიგად, მარქსისათვის ყოველი გამოსაკვლევი ეკონომიური მოვლენა მეთოდოლოგიურად არის საწარმოო ურთიერთობა, რადგან ყოველი ეკონომიური მოვლენა ბოლოს შეიძლება დაყვანილი იქნას სამრეწველო მომენტამდე, როგორც მისი პირველადი მიზეზი.

მარქსისტულ პოლიტ. ეკონომიის მეთოდოლოგიურ პრინციპს აგრეთვე ისტორიზმიც წარმოადგენს. ამ პრინციპის თანახმად ყოველ ისტორიულ პერიოდს თავისი კანონები აქვს... მაგრამ, როგორც კი ცხოვრება გაივლის განვითარების ამა თუ იმ პერიოდს, ერთ სტადიიდან მეორეში გადავა, მას უკვე მართავს სხვა-გვარი კანონები. მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა, თითქოს მარქსი საერთოდ უარყოფდეს ყოველგვარ საერთო ხასიათის კანონებს, რომლებიც მართავენ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას სხვადასხვა საფეხურებზე, შემცდარი იქნებოდა. მიუხედავად ამისა პოლიტიკური ეკონომიის კანონები სპეციფიურ ისტორიულ ხასიათისაა, რომლებიც წინააღმდეგ სოციოლოგიურ ხასიათის კანონებისა, გამოხატავენ ერთი გარკვეული საზოგადოებრივი სტრუქტურის შინაარსს—კაპიტალისტურ-საზოგადოებრივ სტრუქტურისას.

ამ პრინციპს განსაკუთრებული აქტუალური მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რომლებიც პოლიტიკურ ეკონომიას ვსწავლობთ ს.ს.რ.კ. ტერიტორიაზედ, სადაც ჩვენ გარემოცული ვართ სულ სხვაგვარი ეკონომიური ურთიერთობებით. იმის ცოდნა, რომ კაპიტალისტური წარმოების ეკონომიური კანონები ისტორიულად განსაზღვრული არიან, საშუალებას გვაძლევს ნათლად დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ საგრძნობლად გამოველით კაპიტალისტური განვითარების სტადიიდან და შევდივართ ახალ სტადიაში, რომელსაც მართავს სულ სხვა გვარი კანონები.

ასეთია, მოკლეთ, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგია. ყველა ჩამოთვლილი მეთოდოლოგიური პრინციპები ერთი საერთო დასაბამიდან დიალექტიური მატერიალიზმიდან გამომდინარეობს. რისგამო მარქსი თავის მეთოდს დიალექტიურ მეთოდს უწოდებს. სამწუხაროდ პოლიტიკური ეკონომიის სწავლების დროს ეს მეთოდოლიგიური პრინციპები ყველას მიერ დაცული არაა, რადგან ყველა, ვინაც პოლიტიკურ ეკონომიას ასწავლის, თვით არაა სათანადოდ აღჭურვილი მარქსისტული მეთოდოლოგიით, რის გამო პოლიტიკური ეკონომიის სწავლება არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

(დასასრული იქნება).

ვ. ხუროძე

მშობლიური ლიტერატურისა და ენის სწავლების საკითხები

III

მართალია მხატვრული ლიტერატურა ადამიანის გრძნობელობას აფორიაქებს და ემოციებს აღძრავს, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, თითქოს აზროვნებითი მომენტი სრულიად განდევნილი იყოს ამ პროცესიდან. ამის დაშვება ყოვლად შეუძლებელია: აზროვნება არა თუ განდევნილია მხატვრული ნაწარმოების ათვისებისა და შესწავლის პროცესში, არამედ უაღრესად მძაფრდება და ალმასდება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მუშაობა მხოლოდ მის შემდეგ იწყება, რაც ხელოვნური სურათის ათვისება მოხდა. ჯერ უნდა მოხდეს მხატვრული ფაქტის მგრძნობელობითი მიღება და მხოლოდ ამის შემდეგ უკვირდება ადამიანი მის შინაარს და ღირებულებას, ე. ი. აზროვნებს ხელოვნური აღძრის გამო.

ავიღოთ ასეთი მაგალითი: ჩვენ ვნახეთ რომელიმე მხატვრის მიერ ხელოვნურად შესრულებული სურათი. უპირველეს ყოვლისა, ეს სურათი ჩვენს არსებაზე ახდენს მთლიან შთაბეჭდილებას და ამნაირად აღძრავს ჩვენს მგრძნობელობას. აღტაცებაში მოვყავართ სურათის სიმშვენიერეს, მისი ფერების თამაშს, ტეხნიკურ სისრულეს და საერთო კომპოზიციას. და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებთ იმაზე დაფიქრებას, თუ რაა ამ სურათში მოცემული, რა მომენტია სინამდვილიდან ამოგლეჯილი, რა უნდა ვისწავლოთ ამ ფაქტებიდან და სხვ.

სწორედ ამგვარს პროცესს აქვს ადგილი მოთხრობის და ლექსის მხატვრულად მიღების დროს: ჯერ მთლიან შთაბეჭდილებას ვღებულობთ ემოციონალუ-

რის გზით და მხოლოდ მეორე მომენტში ვიგნებთ შინაარს და მის ლიტერატურას.

ამგვარად, ლიტერატურული ფაქტის დამუშავება სკოლაში უნდა მიმდინარეობდეს უპირველესად ხელოვნების სფეროში და მხოლოდ მერმე მეცნიერულს გზით. ეს დებულება შეურყეველად უნდა ახსოვდეს მშობლიური ენის მასწავლებელს.

რაში მდგომარეობს მხატვრული ფაქტის ხელოვნების გზით მიღება.

მოცემული ნაწარმოების წაკითხვას ადამიანი შეჰყავს იმ ქვეყანაში, რომელიც შეუქმნია მწერლის ფანტაზიას. ალექსანდრე ყაზბეგს ჯადოსნური ხელით მიმოყევხართ მისი ფანტასტიკით გაშუქებულ მთიულეთის კლდე-ღრეებში: გაჩვენებს სახეებს, გათრთოლვებს მოქმედებათა ხილვით, გაგაცდევინებს უნეტარეს წუთებს და უცებ გრძნეულის ხელით ფარდას დაუშვებს. ხურავთ წიგნს, ხუჭავთ თვალებს და გულდასმით ითვალისწინებთ იმას, რაც ნახეთ და რამაც აგათრთოლათ. გრძნობა და აზრი ერთმანეთშია არეული ამ დროს, ხან ერთია წინ, ხან მეორე და ორივე ერთად ხელჩაკიდებული დაჰფარფატებენ თქვენს არსებაში.

აი ეს არის ხელოვნური ფაქტის მიღება.

ვილაპარაკოთ სასკოლო სინამდვილის ენაზე.

ჯერ ხდება ნაწარმოების თავიდან ბოლომდე გულდასმით ჩაკითხვა და მისი შინაარსის დეტალურად გათვალისწინება. მთლიანი შთაბეჭდილების მიღების შემდეგ ხელახლა სწარმოებს ნაწარმოებზე დაკვირვება, მისი შემადგენელი ნაწილების გულდასმით აწონდაწონვა და საერთოდ მიღებული მხატვრული სურათის შინაგანი აღნაგობის გათვალისწინება. ამ მიზნით უნდა მოხდეს ნაწარმოების პერსონაჟების ცალკე გამოყოფის გზით შესწავლა-დახასიათება, მათი ბუნების შეცნობა და ნათლად გამორკვევა იმ ადგილისა, რომელიც მათ მიანიჭა მწერლის ფანტაზიამ მის მიერვე შექმნილ ქვეყანაში.

მივმართოთ კიდევ ზევით მოყვანილ მაგალითს. როდესაც ჩვენ მხატვრის მიერ შექმნილი სურათი ვიხილეთ, პირველად მივიღეთ მთლიანი შთაბეჭდილება, სინტეტიური სახე ანუ ერთეული, მერე კი თანდათან დაკვირვების პროცესში ჩვენ ვეცნობით მოცემული ხატების ცალკე ნაწილებს და წვრილმან დეტალებს. თანაც ყოველ წუთს ამ წვრილმანებიდან მთელზე გადავდივართ და თითქოს დანაწილების გზაზე შემდგარ პირველ შთაბეჭდილებას შეუმჩნეველად ვარგვალებთ და ამ გზით პირველად მიღებულ შთაბეჭდილებას თანდათან ვაღრმავებთ და ვაფართოვებთ.

მოიგონეთ, რამდენ ახალახალ საყურადღებო და მომხიბვლელ დეტალებს შეამჩნევთ ხოლმე, როდესაც მოწონებულ სურათს თანდათან დააკვირდებით, სხვადასხვა წერტილიდან მიუდგებით, ან კიდევ პრესპექტივაში გახედავთ.

სწორედ ასეთ პროცესს აქვს ჩვენს არსებაში ადგილი, როდესაც ჩვენ ერთხელ წაკითხულ მოთხრობას თუ ლექსს ხელახლა ვუკვირდებით და ხელმეორედ ვსინჯავთ მის ცალკე ნაწილებს უკეთ შეთვისების მიზნით.

როდესაც ეს მუშაობა დასრულდება და მოწაფეს საკმაო წარმოდგენა მიეცემა ნაწარმოების შინაგანი ნაშენობის შესახებ, როცა იგი საკმარისად მიიღებს მხატვრულ ფაქტს, მერე იწყება იმ კონკრეტ ისტორიულ-კულტურული პირობების გათვალისწინება, რომელშიც მოცემული ნაწარმოები წარმოიშვა, რათა ამ გზით ყოველმხრივ შევიგნოთ და შევითვისოთ ნაწარმოების დედააზრი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამავე დროს დამუშავებული მასალა განსაზღვრულ,—მის წარმომშობ ისტორიულ საფეხურსაც გვაცნობს.

ჩვენ საკმაოდ განვმარტეთ ჩვენი აზრი, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ უფრო კონკრეტულად შევეხოთ საკითხს და უფრო მეტი პრაქტიკული სახით გადმოვშალოთ იგი. შემდეგ წერილში ჩვენ შევეცდებით სანიმუშოდ გავარჩიოთ რომელიმე ნაწარმოები, რომ ამ გზით უფრო ნათელეყოთ ის მეთოდიურ-პრაქტიკული საშუალებანი, რომელთა მოხმარება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მშობლიური ლიტერატურის შესწავლის საქმეში.

ბ. კიზირია.

კვლევითი მეთოდი

შრომის სკოლის მიზანია: მოამზადოს მოქალაქე ცხოვრებისათვის. ეს კი გულისხმობს მოქალაქის აღჭურვას სათანადო ცოდნის მარაგით და ამ ცოდნის გამოყენების უნარით. დღეს თითქმის ყველასათვის ნათელი და ცხადია, რომ სკოლა მოსწავლეს ამომწურველს და დასრულებულ ცოდნას ვერ მისცემს. ადამიანს მთელი მისი ცხოვრების სარბიელზე სჭირია სწავლა, ვინაიდან ცხოვრება ერთ წერტილზე გაყინული არ არის, ის გიგანტიური ნაბიჯით მიისწრაფვის წინ. ასეთ პირობებში სკოლაში მიღებული ცოდნით დაკმაყოფილება, მთლიანად მასზე დაყრდნობა და გაჩერება უკან დახევას და დაქვეითებას უდრის. მაშასადამე, სკოლას ცოდნის მიცემასთან ერთად კიდევ **რაღაც** ევალება, რაც უფრო ძვირფასია, უფრო საინტერესოა და ნაყოფიერია, ვიდრე დამზადებული ცოდნის მიწოდება. სახეში გვაქვს სასკოლო მეცადინეობის საშუალებით მოსწავლეში ისეთი უნარის გამომუშავება, რომელიც მას ხელში მისცემს ერთგვარ მჭრელ იარაღს, რომლითაც მისთვის შესაძლებელი გახდება დამოუკიდებლად ახალ-ახალი ცოდნის მიღება და გიგანტიური ნაბიჯით გაქანებული ცხოვრების ალ-

ღოს აღება. მის სიღრმეში ჩაწვდომა, მისი სუნთქვის გაგება და კულტურული ადამიანის დონეზე დგომა, სკოლამ ისე უნდა მოამზადოს ადამიანი, რომ მას საშუალება ჰქონდეს ეს ცოდნა მის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოიყენოს. იმავე დროს სკოლაში მიღებული ცოდნა უნდა შეიქნეს წყარო ახალ-ახალი ცოდნისა, რომელიც ადამიანმა სკოლის გარეშე თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა გამონახოს, შეიძინოს და გამოიყენოს.

იმისათვის, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა არ იქნეს უნაყოფო, გამოუსადეგარი და გამოუყენებელი ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა შეიქნეს ახალი ცოდნის მიღების იარაღი და საშუალება, საჭიროა სკოლის საქმიანობაში ახალი სულისკვეთების, ახალი შინაარსის და მუშაობის ახალი მეთოდის შემოღება. შრომის სკოლის აღმშენებლობაში ეს საკითხი გაბვალისწინებული არის. ჩვენ მიერ უარყოფილია ტრადიციული სკოლის ნაკლი ამ მიმართულებით. ტრადიციულ სკოლას ახასიათებდა მზა-მზარეულად ცოდნის მიწოდება მოსწავლეთათვის. ეს კი თავისთავად სკოლაში მიღებული ცოდნის გამოყენების და სკოლაში მიღებული ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ახალი ცოდნის მიღების საკითხს უარყოფითად სწყვეტდა.

სხვა საშუალებათა შორის, რომელიც გააჩნია თავის განკარგულებაში შრომის სკოლას, არის კვლევითი მეთოდი. კვლევითი მეთოდის საფუძველს შეადგენს არა მზამზარეული ცოდნის შეთვისება, რომელსაც ბავშებს მასწავლებელი მიაწვდის, რაც ტრადიციული სკოლის დამახასიათებელი თვისება იყო და დღესაც ხშირი მოვლენაა, არამედ ბავშების დამოუკიდებელი ძიება, აქტივობა და თვითმოქმედება. ამ ძიებას მიჰყავს ბავში გარემოცული სინამდვილის მოვლენებზე დაკვირვებისაკენ, ცდისაკენ... ეს სავსებით ეგუება ბავშის ბუნებას, მის აქტივობას და ფრიად საყურადღებო მომენტს წარმოადგენს სკოლის ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს მუშაობაში და რომელიც უკიდურესობაში გადავარდნას წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ ზოგი პედაგოგის აზრით მოწაფის საკუთარი კვლევა-ძიება არის ერთად-ერთი გზა ცოდნის შეძენისათვის. რა თქმა უნდა, ეს შეცდომაა, ეს არის ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა. თუ აქამდის სკოლაში ბავში პასიური იყო და ცოდნას ღებულობდა მასწავლებლის ან წიგნის საშუალებით, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ამ გზით ცოდნის მიღება სავსებით უნდა შეწყდეს და სკოლა დაემყაროს მხოლოდ და მხოლოდ კვლევა-ძიებას. ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ერთის მხრით ყველგან, სკოლის მუშაობის ყველა დარგში, ყველა საკითხის გასაშუქებლად კვლევა-ძიებას ვერ მოვახდენთ, ვინაიდან ეს ყოველგვარი შესაძლებლობის

გარეშეა. კვლევითი მეთოდს სკოლამ უნდა მიმართოს იქ, სადაც ის შესაძლებელია და სადაც ის სასარგებლოა; სხვაგან ის ღირებულებასაც დაკარგავს.

დავუბრუნდეთ ისევ საკითხს. კვლევითი მეთოდი არის გზა ცოდნისაკენ ძიების, დაკვირვების, ცდების, აღმოჩენების საშუალებით. ამ მეთოდით მუშაობის დროს სიმძიმის ცენტრს კონკრეტიული სინამდვილიდან ამოღებული კონკრეტიული ფაქტები წარმოადგენს. აქ სიტყვას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა. ბავშვი ახდენს საკუთარი ცდების შედეგების და წიგნის ცნობების შედარებას. ასეთი მუშაობის დროს ბავშვებთან ერთად უშუალო მონაწილეობას ღებულობს მასწავლებელიც. მასწავლებელი, როგორც ყოველთვის აქაც მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს. როდესაც მოსწავლე დაინახავს, რომ მისი მასწავლებელი ხალისით ეკიდება გარემოცულ ცხოვრებას, მის შესასწავლად ახდენს დაკვირვებას, აწარმოებს ცდებს, კრებს კოლექციებს, სურათებს და სხვა მასალებს, ერთი სიტყვით, სწავლობს თავისი რაიონის მოსახლეობის შრომა-საქმიანობას, ბუნებას და საზოგადოებრივ ურთიერთობას, თვითონაც გაიმსჭვალება მსგავსივე ხალისით და ინტერესით, და სკოლაში უფრო მეტი გასაქანი მიეცემა ასეთი სახის მუშაობას. ბავშვისათვის კი აქტიური მუშაობის, კვლევა-ძიების, დაკვირვების და ცდების წარმოებას და ამ გზით ცოდნის შეძენას ის მნიშვნელობა ექნება, რომ მას ბუნება, შრომა და საზოგადოება ოჯახით დაწყებული და მსოფლიოთ გათავებული ეცოდინება არა მარტო წიგნებით და მასწავლებლის სიტყვით, არამედ ამას ის იგრძნობს თვით სინამდვილეში და ღრმად გაეცნობა მას.

ასეთი სახის მუშაობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ძალიან ფართოდ მხოლოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული: როდის შეიძლება მისი გამოყენება, სად და როგორ.

ამ მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებლად უნდა იქნეს დაცული შემდეგი თანდათანობა:

I. მუშაობას ვიწყებთ დაკვირვების მოხდენით ან ცდის წარმოებით, ე. ი. უნდა ავიღოთ ესა თუ ის ობიექტი და მოვახდინოთ მასზე დაკვირვება, ან, თუ დაკვირვება არ არის საკმარისი, ან ცდა არის უკეთესი და სხვა, ვაწარმოვოთ ცდა;

II. დაკვირვება, თუ ცდა, რომელსაც მივმართავთ პირველ მომენტში, აუცილებლად მოგვცემს საკმაო მასალას; მოვლენათა დამახასიათებელ ნიშნების მიხედვით ვახდენთ ამ მასალების შედარებას, რომლის საფუძველზე ჩამოვაყალიბებთ სისტემას.

III. ამის შემდეგ ვითვალისწინებთ მოვლენის მიზეზს და შედეგს და ნათლად და გასაგებად ცოცხალი მაგალითის საფუძველზე ვხსნით მოვლენასა და შედეგს შორის მიზეზობრივ კავშირს;

IV. როდესაც, მოვლენასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი ახსნილი იქნება, სრულიად ღვივილი გახდება კანონის ჩამოყალიბება მოვლენების განსაზღვრული კატეგორიისათვის;

V. დასასრულ ხდება ამ გზით გამოყვანილი კანონის გაყოვლადება ერთ მთლიან სურათში.

VI. ამის შემდეგ სწარმოებს მიღებული ცოდნის შეფასება, შემოწმება და პრაქტიკული ცხოვრებაში და საქმიანობაში გამოყენება.

ამ გზით უნდა იქნეს წარმოებული კვლევა-ძიება სკოლაში.

დ. ასათიანი

ნიჭიერების (ინტელიგენტობის) გამოკვლევის საკითხი ბავშთა ფსიქოლოგიაში.

როგორც ცნობილია, „შმო“ და მისი ინტენსიური წინსვლა უკანასკნელი წლების დამხასიათებელია. ომის მიერ გამოწვეული ეკონომიური დაქვეითება მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სხვადასხვა დარგში მომუშავე სუბიექტის იმ სამუშაოსადმი შეგუებაზე თუ შეუგუებლობაზე, რომელისთვისაც უკანასკნელს ბედით თუ უბედობით ხელი მოუკიდია. მაგრამ რომ ეს საკითხი გამოირკვეს ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ ის მოთხოვნილებანი, რომლებსაც უყენებს პიროვნებას ესა თუ ის სამუშაო მისი მაქსიმალურათ ნაყოფიერ მიმდინარეობისათვის. ეს ცალკე მეცნიერების და, შეიძლება, მეცნიერებათა საქმეა. მაგრამ რომ ნაყოფიერი შედეგი მივიღოთ მუშაობიდან, ამისათვის მეორე პირობაა შესასრულებელი: იმ სუბიექტის გამოკვლევა ფსიქოლოგიურად, რომელიც ამ საქმეს ხელს კიდებს. ამ შემთხვევაში ე. წ. პროფ-შერჩევას მიმართავენ. ამიტომ, როგორც ცნობილია, დღეს ფსიქოტექნიკას განსაკუთრებული ადგილი აქვს მინიჭებული ყველგან. მაგრამ სახელმწიფო მარტო ამით როდი კმაყოფილდება. მისთვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს არა მარტო ის, რომ მის განკარგულებაში უკვე არსებული ცოცხალი ძალა რაციონალურად გამოიყენოს, არამედ იგი ზრუნავს იმაზედაც, რომ მოზარდი თაობის ბედიც იმ გვარად მიმართოს, რომ როგორც მათთვის, ისე სახელმწიფოსთვის მათი ძალისა და ენერგიის გამოყენება ძალთა ეკონომიის პრინციპს ექვემდებარებოდეს. მაგრამ როგორ შეიძლება ეს? როგორ შეიძლება გამოირკვეს წინდაწინ ის თუ რომელი პროფესიის თუ საქმისაკენ „მიუწევს გული“ ამა თუ იმ მოზარდს? წინდაწინ იგულისხმება, რათქმა უნდა, რომ წარმოებისა და საქმიანობის ინ-

ტენსიობა მომუშავისა და სამუშაოს ურთიერთ შეგუებაზეა მთლიანად დამოკიდებული. და არამარტო ინტენსიობა და ნაყოფიერება, არამედ სუბიექტის სულიერი განწყობილებაც და „ბედით“ კმაყოფილებაც (რამდენი ბედის მაწყევარი გვხდება დღესაც ცხოვრებაში და უმრავლესობა მიზეზებისა უთუოდ საქმესთან შეუგუებლობის ნიადაგზეა აღმოცენებული) ამიტომაა, რომ დღეს ამ საკითხს (მომუშავისა და სამუშაოს ურთიერთ შეგუება) არამარტო უკვე მოზრდილი ადამიანის მიმართ ირკვევენ, არამედ უფრო ქვევითაც იწევენ და სცდილობენ ინდივიდის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ფსიქოფიზიკურ კონსტიტუციას უყონ ანალიზი. მაშასადამე იმისთვის რომ ნათელვყოთ სით მიიწევს მოზარდი, რომელ ასპარეზზე უნდა გაიფურჩქნოს მისი სამოქმედო ძალები, საჭიროა მისი ყოველმხრივი შესწავლა. ამიტომაა, რომ დღეს ბავშის ფსიქოლოგიის ამ თვალსაზრისით კვლევა განსაკუთრებული ინტენსიობით მიიწევს წინ. აქ ჩვენთვის საკმაო იქნება, თუ პირველ ყოვლისა დავასახელებთ ყველაზე უფრო გამოჩენილს დიფერენციალურ ფსიქოლოგიის მამამთავარს ვილიამ შტერნს და გავითვალისწინებთ იმ მოსაზრებებსა და ცდებსაც, რომელთა შესახებ იგი დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის მის ნაშრომში: „Dieintellegenz der kinder uud Iugendlichen und die Methoden ihrer Untersnhangen“ ეს წიგნი გადათარგმნილია რუსულად В. Штерн. Одаренность детей и подростков и методы ее исследования“ და გამოცემული უკრაინის შრომის ინსტიტუტის რედაქციით.

ს. ფანცხავა.

საყოველთაო სავალდებულო სწავლა და სასკოლო აღწერა.

ხალხის ცხოვრებაში ყოველგვარ სოციალურ ცვლილებას თანა სდევს ცვლილებები სახალხო განათლების საქმეშიც. ყოველგვარი სოციალური გარდატეხა სწავლა-განათლების დარგში გვიყენებს ახალ ამოცანებს, ახალ საკითხებს და გვისახავს ახალ გზებს ამ საკითხების გადასაჭრელად.

დღევანდელმა სოციალურმა რევოლუციამ მთლიან შრომის სკოლის იდეასთან ერთად ფრიად მნიშვნელოვანი მოთხოვნილება წამოგვიყენა, **სკოლის გარეშე განათლება, ხალხის მასიურად განვითარება** და ამისათვის სტიქიურად შექმნა მრავალი სხვადასხვა ტიპის კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება. დღევანდელმა სოციალურმა რევოლუციამ გააღრმავა სახალხო განათლების მცნება სახალხო კულტურის მცნებამდე.

კულტურულ-განმანათლებელ სისტემათა მოწესრიგებას შეუძლია მტკიცე კულტურულ დაწესებულებათა ქსელის შექმნა. ასეთი მოწესრიგებული სისტემით აგებული სასკოლო ქსელი შეგუებული იქნება ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებებთან.

სასკოლო ქსელი, რომელიც დანიშნულია ამა თუ იმ რაიონისათვის, შეუძლებელია განყენებული იქნეს, შეუძლებელია განვითარდეს ისე, თუ არ იცნობს ადგილობრივ სამეურნეო პირობებს. ჩვენ რომ გავატაროთ საყოველთაო სავალდებულო სწავლა და ამისათვის სათანადო ქსელი დავაწესოთ, საჭიროა უპირველესად ყოვლისა, მხედველობაში გვქონდეს მიღებული ადგილობრივი მეურნეობის პირობები და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა მოსახლეობის ხელობას (პროფესიას).

შემჩნეულია, რომ პირველდაწყებით სწავლებას დიდათ ხელს უშლის სოფლის მეურნეობის პრიმიტიული პირობები. ეკონომიური პირობები დიდ გავლენას ახდენენ სკოლაზე. ამიტომ საჭიროა, ჩვენ თავდაპირველად შევისწავლოთ ამა თუ იმ რაიონის ეკონომიური პირობები და შემდეგ დავაწესოთ სკოლის ქსელი.

ეკონომიური პირობები, სამეურნეო ორგანიზაციული ფორმები, ხელფასის პირობები, სასოფლო-სამეურნეო ან მესაქონლეობის კატეგორია, მწარმოებელი თუ მომხმარებელი რაიონის გამოკვლევა, ვაკე თუ კლდიანი ადგილები,—ყველა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის ქსელის დაწესებისათვის და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებების სწორ სისტემისათვის, რომელიც არას დროს არ იქნება ერთგვარი სხვადასხვა რაიონში.

აი ის მთავარი პრინციპები, რომელზედაც ჩვენ უნდა მოვაწყოთ სკოლები და დავაწესოთ სასკოლო ქსელი.

საყოველთაო სავალდებულო საკითხის პრაქტიკულად გადასაჭრელად საჭიროა სწორად სასკოლო ქსელის დაწესება.

ჩვენ ვიცით, რომ სწავლა-განათლების დარგში ყველაზე დიდი საქმე, რომელსაც თანამედროვე პედაგოგიკის მხრივ ჯეროვანი ყურადღება ექცევა, **არის საყოველთაო, სავალდებულო სწავლის შემოღება.**

პირველდაწყებით სწავლის სავალდებულოდ დაკანონება უაღრესად წინ წასწევს ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ მდგომარეობას. ეს დღეს უდავოა და ყველასათვის გასაგები.

საყოველთაო სავალდებულო სწავლა ჩვენში უნდა შემოღებულ იქნეს ამთავად მხოლოდ 4-წლიან შრომის სკოლის ფარგლებში, ბავში იძენს მხოლოდ პირველდაწყებით ცოდნას, რომელიც ჩვენ პირობებში გამოადგება სოფლის გლეხს. 4-წლიანი შრომის სკოლა ზოგადი ხასიათისაა. იქ მოსწავლე იძენს მხოლოდ ელემენტარულ ცოდნას და მთავარი ყურადღება ექცევა წერა-კითხვის

მესწავლას, რომ მან თავისუფლად მოიხმაროს ეს ცოდნა სოფლის სინამდვილეში.

4-წლიანი შრომის სკოლა განსაზღვრულია მხოლოდ სკოლის ასაკის მოსახლეობისათვის. 4-წლიანი შრომის სკოლა, როგორც პირველდაწყებითი, სავალდებულოა ყველასათვის.

პედაგოგიურ მეცნიერებაში სწორედ სკოლის ასაკის გამორკვევისა და დაწესების გარშემო დიდი სხვადასხვაობაა.

არის მიმართულება, რომელიც სკოლის ასაკს თვლის 8-11 წლამდე, მეორე მიმართულება—9-12 წ., ხოლო მესამე ამ საკითხის გადაწყვეტას და საბოლოო გამორკვევას უთანხმებს იმ პირობებს, რომელშიაც ვითარდება ესა თუ ის ქვეყანა. მაგალითად ზოგან შეიძლება სკოლის ასაკი დაიწყოს 6 ან 7 წლიდან (ამერიკის შტატებში) და ზოგან უფრო გვიანაც.

სკოლის ასაკის გამორკვევა დამოკიდებულია დემოგრაფიულ და ეკონომიურ პირობებისაგან. იქ სადაც ტეხნიკა განვითარებულია, სკოლის ასაკიც უფრო ადრე იწყება.

ჩვენში, როგორც უფრო ჩამორჩენილ მხარეში, ისე, როგორც მთელ კავშირში, სკოლის ასაკად მიღებულია 8-11 წელი.

ჩვენში ეს წლოვანება გადაჭრით შეიძლება სკოლის ასაკის ნორმალურ წლოვანებად ჩაითვალოს, ვინაიდან 1924-25 სასწავლო წლის გამოკვლევა ამტკიცებს, რომ 4-წლიან შრომის სკოლებში ყოფილა მოსწავლეები:

6 წლის 0,8%, 7 წლის - 6,4%, 8 წლის—12,6%, 9 წლის—13,5%, 10 წლის—14,3%, 11 წლის—12,9%, და 12 წლის—11,5%.

აქედან სჩანს, რომ ყველაზე დიდი პროცენტი ჩვენ 4 წლიან შრომის სკოლებში 8, 9, 10 და 11 წლის ბავშვებია. ამიტომ ჩვენც—ისე, როგორც მთელ კავშირში, სკოლის ასაკად უნდა მივიღოთ 8-11 წლოვანების ასაკი.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის საჭირო გეგმის დამუშავების დროს და 8-11 წ. ასაკის მოსახლეობის გამოსარკვევად მთელ საქართველოში უნდა ვისარგებლოთ იმ ახალი მასალით, რომელსაც იძლევა 1926 წლის 17 დეკემბრის სრულიად საკავშირო აღწერის ჯამები და ცხრილები.

გეგმის შესადგენად წლოვანობის გამოკვევის წყარო გვაქვს.

ამ მნიშვნელოვან საკითხის გარდა საჭიროა თვით სკოლის შესწავლა: ასეთი შესწავლა აუცილებელია და ის შეიცავს:

1) არსებული 4-წ. შრ. სკოლები რამდენად აკმაყოფილებს ადგილებით ბავშთა მოსახლეობას (8—11 წ), 2) რამდენი ახალი სკოლის გახსნა და ჯგუფების მომატება დაგვჭირდება საავალდებულო-საყოველთაო სწავლის სავსებით

გატარებისათვის, 3) მასწავლებლების მომზადება და მათი რიცხვი, 4) ხარჯთაღრიცხვა, 5) ახალ სკოლების შენობების აგება და არსებული სკოლების შენობების შეკეთება, 6) საყოველთაო-სავალდებულო სწავლის ფინანსიური გეგმის შედგენა.

აი ის საკითხები, რომლების მიხედვით უნდა დამუშავდეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლის გეგმა.

ყველა ეს საკითხები (6 საკითხი) ითვალისწინებს სკოლისა და მოსწავლე-მასწავლებლობის მდგომარეობის ბეჯითად შესწავლას.

ამ საკითხების გასათვალისწინებლად და სკოლის ქონებრივ მდგომარეობის შესასწავლად, რომ უფრო მარტივად და დასაბუთებულად შედგეს საყოველთაო სწავლის სახელმძღვანელო გეგმა განძრახულია **ა. წ. 15 დეკემბერს ჩატარდეს ჩვენში სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერა.**

სასკოლო აღწერა თავის გეგმით ითვალისწინებს აღწერას სოციალური აღზრდისა და პროფესიონალურ-ტეხნიკური სასწავლებლების. აწერილი იქნება 4, 7 და 9 წლიანი შრომის სკოლა, ტეხნიკუმები და სხვა.

აწერის პროგრამა ითვალისწინებს: 1) სკოლის საერთო მდგომარეობას, 2) მოსწავლეების საერთო მდგომარეობას სკოლაში, 3) სასკოლო მანძილს (რადიუსს), 4) სკოლის შენობას და მის ხარისხს, 5) სკოლის მოწყობილობას, 6) სკოლის სასწავლო ნაწილს, 7) სკოლის საზოგადოებრივ მუშაობას, 8) სკოლის ბიუჯეტს დაწვრილებით, 9) მოსწავლეების დაწვრილებით მდგომარეობას და 10) მასწავლებლების ცნობებს.

აქედან სჩანს, რომ საყოველთაო-სავალდებულო სწავლის გადასაჭრელ საკითხებსა და სასკოლო აღწერის პროგრამის შორის განსხვავება არ არის.

წინააღმდეგ, სასკოლო აღწერის პროგრამაში ყოველი საჭირო კითხვა უფრო ვრცლად არის დასმული და ყოველი კითხვის შესწავლა უფრო ფართედ შეიძლება.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლის გეგმის დასამუშავებლად ჩვენ გვჭირდება სამგვარი ფაქტიური მასალა:

1) სკოლის ასაკის მოსახლეობა (1926 წ. 17 დეკემბრის საყოველთაო აღწერის ცნობები);

2) სკოლების, მოსწავლეების და მასწავლებლების დღევანდელი მდგომარეობა (1927 წლის 15 დეკემბრის სასკოლო აღწერის ცნობები);

და 3) ჩვენი მაზრების, თემების და სოფლების ეკონომიური მდგომარეობა (1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალები).

პირველი და მესამე მუშაობა ამ გეგმის შესადგენად უკვე ჩატარებულია, ამის ცნობებიც მოგვეპოვება. ახლა საჭიროა მეორე მუშაობა ჩავატაროთ ნაყოფიერად, რომ საშუალება მოგვეცეს ჩვენი პირველ დაწყებითი სკოლის დღე-

ვანდელი სურათი ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ მომავალში შეცდომის გარეშე, წესიერად, და გეგმით ვაწარმოოთ მუშაობა საყოველთაო-სავალდებულო სწავლის დასაფუძნებლად.

სასკოლო აღწერის ჩატარება ეკისრება ადგილობრივ განათლების მუშაკებს და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამხანაგები ამას შეხედავენ როგორც საკუთარ საქმეს და დიდი ენერგიული მუშაობით მოგვცემენ ისეთ მასალებს, რომელიც საფუძვლად დაგვედება ამ ფრიად დიად საქმის დასაბოლოვებლად.

ადგილობრივ მასწავლებელთა დახმარებით უნდა შესრულდეს ეს დიდი და საამაყო საქმე.

ვიქტორ ჰიუგო

(დაბადებიდან 125 წლის შესრულების გამო).



„აწმყო შობილი წარსულისაგან —
არის მშობელი მომავალისა".

ი. ჭ.

საფრანგეთის უდიდესი პოეტი-მწერალი, რომანტიზმის სკოლის დამაარსებელი და დედა-ბოძი, საკაცობრიო ჰუმანიური იდეების თაყვანისმცემელი და მქადაგებელი. სიკვდილით დასჯის გაბედული მოწინააღმდეგე, თავისუფლების თავგამოდებით დამცველი, თავის სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტი და პოლიტიკური მოღვაწე—ვ. ჰიუგო დაიბადა 1802 წ. მამა მისი იყო გენერალი ნაპოლეონის არმიისა, დიდი თაყვანისმცემელი ნაპოლეონის სახელისა, საერთოდ კი სამხედრო საქმის. ის ცდილობდა თავისი შვილიც სამხედრო საქმესთან დაეახლოვებია, მაგრამ ამის ნაცვლად 15 წლის ყმაწვილს შენიშნა მან ლიტერატურით გატაცება, რამაც ძლიერ დააღონა ის.

ახალგაზრდა ჰიუგოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნაპოლეონის ძლევამოსილ ჯარებთან მოგზაურობამ იტალიაში, ესპანიაში და სხვ. უთუოდ ამით აიხსნება მისი ღრმა პატივისცემა ნაპოლეონის გენიისადმი.

მიუხედავად ამისა, ვერც სამხედრო კარიერის პერსპექტივებმა, ვერც მამის დაჟინებით რჩევა-ბრძანებამ, ვერ დაჩრდილა ჭეშმარიტი მოწოდება პოეტისა, ვერ ჩააქრო მასში პოეზიის ძვირფასი ნაპერწკალი.

25 წლის იყო ჰიუგო, როცა დაიბეჭდა მისი დრამა „Cromwell"-ი. ამ დროს ის იმდენად დაახლოვებული იყო ლიტერატურის საკითხებთან, რომ დრამას წინ წაუძღვარა წინასიტყვაობა, რომელიც შეიქნა მანიფესტი პოეზიის ახალი სკოლის—რომანტიზმისა.

მალე ამას მოჰყვა სხვა დრამები და რომანებიც და ახალგაზრდა პოეტმა იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

1839 წ. ჰიუგო გამოექომაგა ა. ბარბესს და მის დასაცავად დასწერა ოთხ ტაეპიანი ლექსი; იმდენად ძლიერი იყო ამ ლექსის გავლენა, რომ ბარბესი სიკვდილს გადარჩა*).

1841 წელს ჰიუგო აირჩიეს საფრანგეთის აკადემიის წევრად, 1848 წელს კი—დამფუძნებელ კრების წევრად, სადაც ჰ. მედგრად ილაშქრებდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, აგრეთვე მოითხოვდა თავის ქვეყნის მოქალაქეთათვის სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლებას.

1851 წელს ჰ. იბრძოდა ბარიკადებზე თავისუფლების დასაცავად უზურპატორ—ნაპოლეონ III წინააღმდეგ და, რესპუბლიკის დამარცხების შემდეგ, გაიქცა ბელგიაში, იქიდან კი გადავიდა კუნძულ ჯერსეიზე.

18 წელიწადი გაატარა ჰ. ამ კუნძულზე, საფრანგეთიდან განდევნილმა და ამ ხნის განმავლობაში არ ღირსებია მას თავის ძვირფასი სამშობლოს ხილვა.

მაგრამ ჰიუგოს ფიქრი და გრძნობა მუდამ თავს ევლებოდა უზურპატორის მიერ შეურაცყოფილ სამშობლოს. ის გასცქეროდა თავის სახლიდან მღელვარე ზღვის ტალღებს, მისი თვალები მუდამ საფრანგეთისაკენ იყო მიპყრობილი,—საფრანგეთისაკენ, რომელიც იტანჯებოდა უზურპატორის ტლანქ თათებში.

ამ კუნძულიდან აფრქვევდა ის მეხს და რისხვას: უმასპინძლდებოდა ნაპოლეონ III სამაგალითო პამფლეტებით.

ამავე დროს ჰ. ექომაგებოდა პოლიტიკურ დევნილებს, ეხმარებოდა ჰარიბალდის, ჰქონდა მიწერ-მოწერა გამოჩენილ მოღვაწეებთან, თითქო მას დაკისრებოდეს საერთაშორისო სამართლიანობის წარმომადგენლის მოვალეობა.

„ყუბელ დედაკაცებისადმი პასუხში" სჩანს ჰიუგო ჩაგრულთადმი ნაზი და უსაზღვრო სიმპატიით აღსავსე.

კუნძულ ჯერსეიზე ჰ. დასწერა შესანიშნავი რომანები, მათ შორის „Les Miserables", რომელშიაც არაჩვეულებრივი ნიჭით და მხატვრობით გამოამჟღავნა საზოგადოებრივი ცხოვრების წყლული და ჩირქი.

*) არმან ბარბესი – ფრანგი რევოლუციონერი, იურისტი იყო. 1839 წლის მაისში აჯანყების მოწყობისა და მონაწილეობისათვის მიესაჯა სიკვდილი, მგგრამ ვ. ჰიუგოს შუამდგომლობით (ავრეთვე ორლეანის ჰერცოგის შუამდგომლობით) სასჯელი შეუცვალეს სიპატიმროთი.

შემდეგ სავსებით გაანთავისუფლა 1848 წლის რევოლიუციამ.

ჰ. არ მოისურვა შერიგება უზურპატორ იმპერატორთან, არ მიიღო მისგან ამნისტია: „მე დავბრუნდები სამშობლოში თავისუფლებასთან ერთადო“— უპასუხებდა ის.

და აუსრულდა კიდეც ნატვრა: 1870 წლის რევოლუციამ ბოლო მოუღო „მეორე იმპერიას“ და ჰიუგო, როგორც სასახელო შვილი დაუბრუნდა თავის საყვარელ ქვეყნის მოქალაქეთ, რომელთაც დიდი აღტაცებით მიიღეს ის და აირჩიეს ნაციონალურ საბჭოს წევრად, 1876 წელს კი—სენატორად.

ჰიუგო გარდაიცვალა 1885 წლის 22 მაისს. საფრანგეთის ერმა ღირსეული გლოვით და არაჩვეულებრივი პატივით აღნიშნა თავის საამაყო შვილის გარდაცვალება და მეფური დიდებით დაკრძალა მისი ფერფლი პანთეონში.

ჰიუგო შესანიშნავია ფართო და ყოველმხრივი ნიჭით. მის გენიალურ შემოქმედებაში მოცემულია მე-19 საუკუნის საფრანგეთი თავისი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებით.

მეტად გრძნობიერია ჰიუგოს ლირიკა, იმავე დროს მდიდარი საკაცობრიო ჰუმანიური მოტივებით.

ჰიუგო ებრძვის თანამედროვეს—უკეთეს მომავლისათვის, მაგრამ ის ხშირად ყურს უგდებს წარსულის ლეგენდებსაც და მათი სილამაზით, თუ შინაარსით მოხიბლული, იძლევა საუცხოო მხატვრულ სურათებს—საშუალო საუკუნეების პარიზის აღწერით და სხვ.

ასეთია მისი უძვირფასესი რომანი „Notre Dame de Paris“, სადაც არქიტექტურა გველაპარაკება წიგნის მაგიერ: კანონით შებოჭილი ადამიანი იძულებულია არქიტექტურის ხელოვნებით, უსულო საგნების ამეტყველებით გამოხატოს თავისი სულისკვეთება. „ქვის ენის“ გაგრძელებას წარმოადგენს ამ ძვირფას რომანში: არქიდიაკონი, ესმერალდა, კვაზიმოდო, ბრბო და მეფე ფილიპე —იშვიათი ხელოვნებით დახატული, ეპოქის დამახასიათებელი ტიპები.

კიდევ უფრო შესანიშნავია ჰიუგოს ის რომანები, რომელთათვის კანვად აღებულია საფრანგეთის რევოლუცია, ხოლო გმირებად ისეთი ძლიერი ადამიანები, როგორც ჟან-ვალჟანი, ჟავერი (Zes Miserables), ან სიმურდენი, გოვენი, ლანტენაკი (ოთხმოცდამეცამეტე წელი).

ვ. ჰიუგოს ცხოვრების ფილოსოფიას (რომელიც უხვადაა მიმობნეული, განსაკუთრებით რომანებში) საფუძვლად უძევს სამართლიანობა, ძვირფასი გრძნობა მოყვასისადმი სიყვარულისა და ჰეშმარიტებისადმი უსაზღვრო პატივისცემისა (Ursis—„კაცი რომელიც იცინის“).

ასეთია ის მოტივები, რომელსაც ემსახურებოდა ჰიუგოს მაღალი პოეზია. ამიტომ კაცობრიობის არა ერთი თაობა იპოვის მის შემოქმედებაში ზნეობრივ და გონებრივ საზრდოს და შეიგრძნობს წმინდა გრძნობით ჰეშმარიტი პოეზიის სილამაზეს.

რუსულ ენაზე ჰიუგო გადათარგმნილია მთლად (თარგმანი დაიწყო 1830 წლიდანვე).

ქართულ ენაზე კი გვაქვს მხოლოდ პატივც. თ. სახოკიას მიერ ნათარგმნი „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, ვ. ჩ—ს მიერ უკანასკნელ წლებში თარგმნილი ნაწყვეტები Zes Miserables-დან—„გავროში“ და რამდენიმე ლექსი.

ვ. ჰიუგოს შემოქმედებას აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა და მისი უქონლობა ქართულ ენაზე უსათუოდ დიდი დანაკლისია.

ბიბლიოგრაფია

ან. ღვინიაშვილი.

საბავშო ლიტერატურის შესახებ

ქართულ წიგნის ბაზარზე ბევრ საბავშო წიგნებს შეხვდებით. გამოცემა სამაგალითო, დასურათებული საუცხოოდ, ისე როგორც არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ მაინც მისდამი ყურადღება ვერ არის ფართე და სერიოზული.

საბავშო წიგნს ესაჭიროება ბავშის ყურადღება, წაკითხვა, თავისი აზრის გამოტანა; საბავშო წიგნი სკოლის ბიბლიოთეკის დამამშვენებელი უნდა იყოს.

და აი ამ ახლო ხანში ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და მოსაწონი ნაბიჯი გადადგა სკოლის გარეშე მომუშავეთა ბიბლიოთეკის კაბინეტმა. მან დაარსა თავის შენობაში ცალკე საბავშო ბიბლიოთეკა; ამავე დროს დაარსდა საბავშო წიგნების და ბიბლიოთეკების მოძწყობი და მომწესრიგებელი კომისია, რომლის მუშაობის მიზანი მეტად ფართეა: გადაშინჯოს ყველა სკოლების ბიბლიოთეკა, გასწმინდოს მოძველებულ და ბავშებისათვის უსარგებლო წიგნებისაგან, მისცეს სარეკომენდაციო სია და უჩვენოს, როგორ უნდა იქმნეს შედგენილი წიგნების კატალოგი; ამავე დროს გაძართოს მოხსენებები საბავშო ლიტერატურის შესახებ.

ცხადია, ვერც ერთი კომისია და ვერც ერთი ბიბლიოთეკა საბავშო ლიტერატურის საქმეს ვერ წასწევს წინ, თუ ამ მუშაობაში არ ჩაება ჩვენი მასწავლებლობა. ამ უკანასკნელის პირდაპირი მოვალეობაა—ყურადღება მიაპყროს საბავშო ლიტერატურას.

ჩვენ რომ თვალი გადავავლოთ რუსეთის მუშაობას და მის საბავშო ლიტერატურის უკანასკნელ გამოცემებს, ადამიანი გაოცდება. რა არ იბეჭდება, რას არ მუშაობენ საბავშო ლიტერატურის დარგში! აუარებელი წიგნებია გამოსული ბავშებთან საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ; რამდენნაირი კატალოგები, დაყოფილი ჰასაკის მიხედვით, კატალოგები საუკეთესო წიგნებისა, კატალოგები კლასიფიკაციით და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი.

რასაკვირველია, ჩვენ მეტად ჩამორჩენილნი ვართ. ერთი მთლიანი კატალოგი არც კი გვაქვს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უვარგისად შედგენილ კატალოგს (ქუთ. 1915 წ.) და ამ უკანასკნელ ხანში „წიგნის მატიანე“-ს კატალოგს, რომელიც საყურადღებოა.

ისეთი კლასიკური წიგნის მსგავსი, როგორიც ნ. ჩეხოვის წიგნია: **„საბავშო ლიტერატურა“**, ხომ არ მოგვეპოვება.

ჩვენ ძველ თაობას ამ დარგში თითქმის არაფერი გაუკეთებია გარდა ნ. ნიკოლაძისა, რომელმაც საგაზეთო ფელეტონი უძღვნა ჟურ. „ჯეჯილ“-ს და არ. ჯორჯაძისა: რომელიც შემთხვევით შეეხო ეკ. გაბაშვილის მოთხრობებს, მისი გამოცემის გამო.

რუსეთში ძველადაც ბევრს უმუშავნია საბ, ლიტ-რის პრობლემის გარშემო: ბელინსკის, უშინსკის, პედაგოგიურ აკადემიას და სხვა.

რაც დღემდე არ გაკეთებულა, დღეს მაინც გავაკეთოდ. სათანადო ორგანოები აქ უეჭველად ხელს შეგვიწყობენ.

ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით ამ საკითხს: როგორია რუსეთის საბავ. ლიტერატურა, როგორია მისი მიღწევები უკანასკნელ წლებში, როგორია ჩვენი და რა პერსპექტივები უნდა დავისახოთ. ახლა კი მოუწოდებ მასწავლებლებს, ჩაებნენ ამ მუშაობაში და ხელი შეუწყონ საბავ. წიგნების და ბიბლიოთეკების მოწესრიგებას.

„სამუშაო პროგრამები" პირველი, მეორე და მესამე ჯგუფების. ტფილისის ვარიანტი. ტფილისის განათლების განყოფილების გამოცემა, 1927 წ. გვ. 102, ფასი 1 მანეთი.

ჩვენი სკოლა თანდათან გადადის მკაცრად ჩამოყალიბებულ პროგრამებზე. შეიძლება გადაჭრით ითქვას, ოთხწლედი ამ მხრივ უკვე მკვიდრ ნიადაგზე დგას: მან უკვე მონახა თავისი მიზანი და მეთოდები. სარეცენზიო წიგნი აშკარად ამტკიცებს ამ აზრს. იგი დამუშავებულია ტფილისის განათლების განყოფილების „ოთხწლედის მეთოდიური ბიუროს" მიერ და ემყარება სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს კომპლექსურ პროგრამებს.

პროგრამების დაწვრილებით გაცნობა სრულიად დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქმის ყოველივე მნიშვნელოვანი დეტალია ნავარაუდევი და შესაფერად დამუშავებული. არა თუ გამოუცდელ, არამედ ბევრი გამოცდილ მასწავლებელსაც დიდ დახმარებას გაუწევს ეს წიგნი.

სამივე ჯგუფის მასალები სეზონისა და ტრიმესტრების მიხედვით დალაგებულია თემებად და ყველა ტრიმესტრის ბოლოში მოყვანილია სააღრიცხვო ბარათი. მასალები დალაგებულია კომპლექსური სისტემის დაცვით. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოსჩანს მცოდნე პედაგოგთა დაკვირვებული მითითებანი და სახელმძღვანელო აზრები. ჩვენი სკოლა უპირველეს ყოვლისა მხარეთმცოდნეობის სკოლაა, ეს პრინციპი თავიდან ბოლომდეა დაცული და არსად თავისთავს არ ღალატობს.

მართალია, პროგრამები ქალაქ ტფილისისათვის არის შედგენილი, მაკრამ ჩვენის აზრით საქართველოს ყველა ქალაქში გამოდგება და სოფლის მასწავლებლობასაც დიდ სამსახურს გაუწევს: ერთი რომ მათი საშუალებით კონკრეტიულად გაიცნობენ კომპლექსური მეთოდის რაობას და საზოგადოდ შრომის სკოლის სულსა და გულს და მეორეც,—როცა ისინი სოფლის პირობების მიხედვით თავიანთ პროგრამებს დაიმუშავებენ,—ამ წიგნს დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია მათთვის. ასე რომ ტფილისის მეთოდიურ ბიუროს მიერ გამომუშავებულ პროგრამებს მთელი ჩვენი მასწავლებლობისათვის შეუძლია დიდი სარგებლობის მოტანა და ამიტომ სასურველია ამ პროგრამების ფართოდ გავრცელება.

დასახელებული პროგრამების გაცნობა დიდ სარგებლობას მოუტანს აგრეთვე ჩვენს პედაგოგიურ სასწავლებლებს: პედაგოგიურ სპეციალურ კურსებს, ასეთსავე განხრებს და ტეხნიკუმებს.

ვინი

კითხვა-პასუხი.

ამხ. გეგენავას მოხსენების შემდეგ ტფილისის მაზრის კონფერენციაზე 3/XI შ.-ს.კ.-ს მუშაობის შესახებ ტფილისის მაზრაში,—კონფერენციის წევრებისა მიერ მომხსენებლისადმი მიცემული იქნა მრავალი, ადგილკომების ყოველდღიურ მუშაობისათვის პრაქტიკულ მნიშვნელობის მქონე კითხვები.

რედაქციის აზრით არ იქნებოდა უსარგებლო ამ კითხვა-პასუხის აქ მოყვანა.

1 კითხვა: თუ შ. ს. კ. სხდომაზე არ გამოცხადდა ადმინისტრაციის წარმომადგენელი, როგორ უნდა მოიქცეს ამაზე ადგილკომის მუშათა ფრაქცია?

პასუხი: ასეთ შემთხვევაში, კავშირის წევრის განცხადება შეტანილი შ. ს.კ-ში ადმინისტრაციის მოქმედებაზე საჩივრით, გადაგზავნილ უნდა იქნას შრომის სასამართლოში, ხოლო იქ, სადაც უკანასკნელი არ არსებობს, სახალხო სასამართლოში, საქმის გასარჩევად.

2 კითხვა: შეუძლია თუ არა დაწესებულების დაინტერესებულ მხარეს მიიღოს მონაწილეობა საქმის გარჩევაში?

პასუხი: შეუძლია, რადგან შ. ს. კ. სასამართლო კი არ არის, არამედ პირველი ინსტანცია, სადაც მხარეები მოწოდებულნი არიან წამოჭრილ კონფლიქტის მოსაგვარებლად.

3 კითხვა: ვის ვალდებულებას შეადგენს სატარიფო ხელშეკრულებათა დაგზავნა ადგილკომებისათვის?

პასუხი: ეს არის ადმინისტრაციის ვალდებულება, რომელთანაც დადებულია სატარიფო შეთანხმების ხელშეკრულება.

4 კითხვა: წამოჭრილ კონფლიქტებთან დაკავშირებით ძალიან ხშირად ადმინისტრაციასა და ადგილკომის წევრთა ურთიერთდაკავშირება ღებულობს მტრულ ხასიათს. ბუნებრივია ადმინისტრაცია მიისწრაფვის იქითკენ, რომ ხელსაყრელ პირობებში თავი დააღწიოს ადგილკომის აქტიურ წევრებს, რომლებიც იცავენ მშრომელთა ინტერესებს?

პასუხი: ჩვენი კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 160 მუხლისა, ადმინისტრაციის მიერ ადგილკომის წევრის დათხოვნა—დათხოვნათა საერთო წესის გაუთვალისწინებლად შესაძლებელია მხოლოდ კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით. ტფილისში და მაზრებში კი პროვინციალურ განყოფილებებთან შეთანხმებით.

5 კითხვა: შეუძლია თუ არა შ.ს.კ. ეწეოდეს სამუშაო ხელფასის გადიდებას მუშებისათვის?

პასუხი: შეუძლია მხოლოდ ხელფასის განსაზღვრულ ნორმაში, რომელიც დადგენილია ხელშეკრულებით. ჩვენს პირობებში ყოველგვარი გადიდება სამუშაო ხელფასისა უნდა იყოს შეფარდებული ჩვენს საბიუჯეტო წელთან.

6 კითხვა: აქვს თუ არა ადმინისტრაციას უფლება მომუშავის გადაყვანისა ერთ დაწესებულებიდან მეორეში?

პასუხი: აქვს, მხოლოდ ერთის პირობით: თუ ეს გადაყვანა ადმინისტრაციის მიერ ხდება საქმის სასარგებლოდ და არ არის გამოწვეული მისი სურვილით დაითხოვოს მომუშავე (ფარული ფორმა დათხოვნის).

7 კითხვა: როგორ შემთხვევაში შეუძლია ადმინისტრაციას დაითხოვოს მომუშავე შ. ს. კ.-სთან შეუთანხმებლად?

პასუხი: თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ე" და „დ" პუნქტებისა:

„ე" საპატიო მიზეზის გარეშე სამუშაოზე სამი ან მეტი დღის გამოუცხადებლობის შემთხვევაში.

„დ„ დაქირავებულის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მის მუშაობასთან, და დადგენილია ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებით და აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ დაქირავებული ორ თვეზე მეტს იყო პატიმრობაში.

8 კითხვა: რამდენი თვის შემდეგ შეუძლია ადმინისტრაციას დაითხოვოს მომუშავე შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო?

პასუხი: ხელშეკრულების თანახმად არა უადრეს 4 თვისა (კანონით კი 2თვეში).

9 კითხვა: ვის ვალდებულებას შეადგენს ზედმეტ ნამუშევარ საათების ხელფასის გამოწერა—ადმინისტრაციის თუ შ. ს. კ.?

პასუხი: ეს არის ადმინისტრაციის ვალდებულება, ხოლო ამ ნიადაგზე წამოჭრილი კონფლიქტი განიხილება შ. ს. კ.-ში.

10 კითხვა: ვის მიერ შეიძლება გაუქმებულ იქნეს შ. ს. კ. დადგენილება და როგორ შემთხვევაში?

პასუხი: თუ შ. ს. კ. დადგენილება ეწინააღმდეგება შრომის საერთო კანონმდებლობას, ან თუ განსახილველ საკითხის გარჩევის პროცესში დაშვებული იქნა რაიმე ფორმალური დათმობანი, მაშინ შესაძლებელია შ. ს. კ. დადგენილება გაუქმებულ იქნეს შრომის ზედამხედველობის ბიუროს მიერ.

11 კითხვა: ეძლევა თუ არა მასწავლებელს გასამრჯელო წერითი მუშაობის გასწორებისათვის ოთხწლედებში, თუ ჯგუფში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა შედის. (45 და მეტი მოსწავლე).

პასუხი: მიუხედავად ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობისა წერითი მუშაობის გასწორებისათვის მასწავლებლებს არ ეძლევათ გასამრჯელო ოთხწლედში. მზგავს მუშაობისათვის გასამრჯელოს ღებულობენ მხოლოდ მე-5-თე ჯგუფიდან და ისიც მხოლოდ ტფილისსა და მის ნაზრაში.

12 კითხვა: რა შემთხვევაში იქნება გაცემული გასამრჯელო პარალელური ჯგუფში მეცადინეობისათვის?

პასუხი: თუ მოწაფეთა მცირე რიცხოვნობის გამო ორივე ჯგუფი იქნა გაერთიანებული და მეცადინეობა იწარმოებს ერთდროულად - თანახმად ხელშეკრულებისა გასამრჯელო არ იქნება გაცემული, ხოლო თუ მეცადინეობა იწარმოებს სხვადასხვა დროულად მაშინ გასამრჯელო გაიცემა.

და მიიღებს შახმატის მსოფლიო ჩემპიონის წოდებას? ყველა გაზეთებში, ყოველ დღე იბეჭდება რადიო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს შეჯიბრი. ასეთი გაცხოველებული ინტერესი შახმატისადმი და გატაცება ჯერ არ ახსოვს შახმატის ისტორიას.



კაპაბლანკა ჩამომავლობით ისპანელია, დაიბადა გავანაში; შახმატს თამაშობს ბავშობიდან (4—5 წლიდან), ეხლა 39 წლისაა. მსოფლიო ჩემპიონად ითვლება 1921 წლიდან, როცა მან პირველობის შეჯიბრში მოუგო ლასკერს, უწინდელ ჩემპიონს. მას ახასიათებენ, როგორც მეტად თავდაჭერილს და აუღელვებელს თამაშის დროს. ვერავითარი მოულოდნელი თავდასხმით და უჩვეულო კომბინაციით, რითაც ასე მდიდარია შახმატი, ვერ გამოიყვანთ მოთმინებიდან კაპაბლანკას. ის მუდამ დამშვიდებული თამაშობს და სრულიად დამშვიდებულივე ნებდება მოპირდაპირეს, როცა პარტიას წააგებს. ასეთი თავდაჭერილობა დიდ უპირატესობას აძლევს მას ალიოხინთან თამაშში. შეჯიბრების დაწყებამდი მან განაცხადა, რომ ფიზიკურად გრძნობს თავის უპირატესობას და დარწმუნებულია გამარჯვებაში.

ალიოხინი რუსია, დაიბადა მოსკოვში 1892 წელს. ის მეტისმეტად ნერვიულია, მოძრავი და ენერგიული. შახმატი უყვარდა ბავშობიდან. ჯერ კიდევ 17 წლის იყო, როცა მაესტროს წოდება მიღო. 21 წლისამ, 1914 წელს, მესამე ადგილი დაიჭირა ლასკერსა და კაპაბლანკას შემდეგ გროსმეისტრების ტურნირში და მიიღო გროსმეისტერის წოდება. შემდეგი საფეხური უკვე მსოფლიო პირველობაა, რისთვისაც ენერგიულად ემზადებოდა ალიოხინი. „პირველობისათვის შეჯიბრი ჩემი ოცნების განხორციელებააო“, განაცხადა მან თამაშის დაწყებამდი ენკენისთვის 10. ალიოხინი კარგი ხანია საფრანგეთში ცხოვრობს და იქ მიიღო უმაღლესი განათლება (უფლებათა დოქტორია). თამაშის დროს ის ნერვიულია და ღელავს. მაგრამ დაჯილდოვებულია უჩვეულო შახმატური კომბინაციების დიდი ნიჭით და საკვირველი მეხსიერებით. ზეპირად იცის უმთავრესი კლასიკური პარტიები და შეუძლია 30 მოპირდაპირეს ეთამაშოს ერთდროულად ისე, რომ დაფას არ უცქიროს.




პასუხის მგებელი რედაქტორი: ა. მიქაძე.

ბ 20 მუ
1927/2

ფასი 40 კაპ.





ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ ტრესტის მე-3 სტამბა

შეკვ. № 362. მთავლ. № 1974. ტირაჟი 2500.